საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge

სამეცნიერო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფართო კონსენსუსი დროის მოთხოვნაა!

იხ. 2 გვ.



იმისთანა ჩმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდ-ვეული სიტყვაა, ტყეიოებით და ჭოტებით ბუტ-თის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 3 ივნისი. 2016 წ. №101 (7993), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

რით განსხვავდება „ოცნების“ ხელისუფლება ჯალათი ნაცებისგან?!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, „2004-2012 წლებში, არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტების შესახებ“ დოკუმენტის გადახედვაც კი საკმარისია, რომ ყველას თვალწინ დაუდგეს სურათი და ყველა შეძრას დასკვნაში მოყვანილმა ფაქტებმა.

ამის შესახებ პრემიერმა დოკუმენტის პრეზენტაციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

კვირიკაშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ ყველაფერი კარგად იცოდა, მაინც ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს საშინელება საქართველოში ხდებოდა.

„სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა, შანტაჟი და შეურაცხყოფა, ღირსების შელახვა, ქონების წართმევა, მკვლელობები და ამის მომსწრე გავხდით ქვეყანაში, რომლის ხელისუფლებაც ოფიციალურად დეკლარირებდა ევროპულ კურსს. დასკვნაში თავმოყრილი და დასაბუთებული ფაქტები კიდევ უფრო შემზარავია და კიდევ უფრო სისტემურ წარმოდგენას იძლევა თუ რა ხდებოდა ჩვენ ქვეყანაში.

მასშტაბები რომ შემაშფოთებელი იყო და დანაშაული მართლაც, რომ სისტემურ ხასიათს ატარებდა, ეს საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების ანგარიშებითაც დასტურდება. ეს არის ათასობით საქმე, რომლის გამოც ბევრი პირი უკვე მიცემულია პასუხისგებაში, მრავალი საქმე სასამართლოშია გადაცემული, არის საქმეები,

რომელთა გამოძიება ჯერ კიდევ არ დასრულებულა, ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ დამნაშავეები პასუხს აგებენ კანონის სრული სიმკაცრით!“

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, გამოძიება და სამართალწარმოება თავისი გზით წავა, ქვეყანამ კი, განვითარების გზაზე წინ უნდა იაროს.

— თავი უნდა დავაღწიოთ უმძიმეს წარსულს, იმისათვის, რომ არ გავხდეთ ამ სისასტიკის მძევალი. იმ სისასტიკის, რომელიც ყველამ ერთად გადავიტანეთ. დღეს ჩვენ ვადგავართ დემოკრატიული განვითარების ევროპული ცივილიზებული სახელმწიფოს მშენებლობის გზას.

ჩვენმა ხელისუფლებამ ბევრჯერ განაცხადა და საქმითაც დაადასტურა, რომ მისი მიზანია საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა ქვეყანაში. ჩვენ უდიდესი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ არ დაგვეშვა სამოქალაქო დაპირისპირება და ანგარიშწორება“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ამასთან, პრემიერმა ოპონენტების მხრიდან მათი მისამართით გაკეთებულ განცხადებებზეც ისაუბრა:

— დღეს ხშირად გვესმის ამ დაუნდობელი სისტემის შემქმნელებისაგან სრულიად უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი ბრალდებები ჩვენი ხელისუფლების მიმართ და მიუხედავად ამდენი ბინძური და ტყუილი ბრალდებებისა, მათ ზუსტად იციან, რომ დღეს, ყველაზე რადიკალური შეფასებების გამოც კი, მათ არ დაუპირისპირდება სახელმწიფო მანქანა.

ისინი არ გახდებიან შანტაჟისა და ანგარიშსწორების მსხვერპლნი. ეს გახლავთ სწორედ ჩვენი ხელისუფლების და ჩვენი ხალხის მონაპოვარი. ამით არის გამორჩეული ჩვენი ხელისუფლების ხელწერა, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და დასძინა: ჩვენი მიზანია ყველამ იცხოვროს ისეთ ქვეყანაში, სადაც აღარ იქნებიან ჯალათები და მსხვერპლი.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა, სამწლიანი მუშაობის შედეგად, „2004-2012 წლებში, არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტების შესახებ“ დოკუმენტი მოამზადა.

ამ დოკუმენტის პრეზენტაცია გუშინ გაიმართა.

თემის გაგრძელება იხ: მე-6-7 გვ.

ეკა ბესელია:

პარლამენტმა მოვლენებს სახელი უნდა დაარქვას!

გოგა საინდრავა:

ნაცისტურ ბანაკებშიც არ ხდებოდა პრეზერვატივიანი ხელკეტებით კაცების წამება!



ალეკო ასლანიშვილი

ლავუაზიეს კანონი

- რა მუცლის გვრემა აუტყდა უფალ გუბაზ სანიკიძეს?
- ნიკა გვარამიას ვნებანი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების

ღია წერილი

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ დ. უსუფაშვილს; საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბ-ნ გ. კვირიკაშვილს; საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს ბ-ნ გ. ვოლსკის

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს პარლამენტში წარდგენილია საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე. აღნიშნული კანონპროექტი განიხილა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ. კრებაზე გამომსვლელების მიერ გამოთქმული მოსაზრებების, შენიშვნებისა თუ წინადადებების საფუძველზე გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ერთი ნაწილი სავსებით მისაღებია. კრება მხარს უჭერს წინადადებას, რომ აკადემიის აკადემიურ საბჭოს, როგორც ადრე, ეწოდოს აკადემიის პრეზიდიუმი; მოსაწონია და აკადემიის მომავალი განვითარების თვალსაზრისით მიზანშეწონილია, რომ აკადემიაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდეს საქართველოს მთავრობა, როგორც ამას ითვალისწინებს შემოთავაზებული ცვლილებების პროექტი. კრება იზიარებს კანონპროექტის სულისკვეთებას, რაც ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერთა ხელშეწყობას და ამ საქმეში აკადემიის როლის გაზრდას გულისხმობს.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ კრება წინააღმდეგია პროექტის იმ მუხლისა, რომელიც გვთავაზობს აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა ეტაპობრივ ჩანაცვლებას ხუთი წლის ვადით არჩეული სტიპენდიატებით. ჩვენი აზრით, უფრო მისაღები იქნებოდა არა ჩანაცვლება, არამედ წევრ-კორესპონდენტის ინსტიტუტის აღდგენა, რაც სრულებით არ გულისხმობს ახალგაზრდა, იმედისმომცემი მეცნიერებისთვის ზრუნვაზე ხელის აღებას. საქმე ისაა, რომ წევრ-კორესპონდენტების ჩანაცვლება მოკლევადიანი სტიპენდიატებით საგრძნობლად ვერც „ტვინების“ გადინების პროცესს შეაჩერებს და ვერც იმ პროცესს, რომელსაც ორივე აკადემია მილევად ვითარებამდე მიჰყავს (თუ ეროვნული აკადემია მოქმედი კანონის მიღებამდე 110 წევრისაგან შედგებოდა, წევრ-კორესპონდენტის ინსტიტუტის აღდგენის გარეშე 70-მდე მცირდება, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია – 55-დან 30-მდე). გარდა ამისა, წევრ-კორესპონდენტის სტატუსი ძირეულად განსხვავდება სტიპენდიატის შემოთავაზებული სტატუსისაგან. წესდების მიხედვით, წევრ-კორესპონდენტად შეიძლება გახდეს ის მკვლევარი, რომელმაც მეცნიერებას დიდმნიშვნელოვანი შრომები შესძინა. რეალურად ასეც არის: აკადემიის წევრ-კორესპონდენტებს თავიანთი სამეცნიერო და პრაქტიკული საქმიანობით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის განვითარებაში. ის, როგორც აკადემიის სტაბილური წევრი, მონაწილეობს ყველა ძირეული საკითხის განხილვასა და გადაწყვეტაში. წევრ-კორესპონდენტთა კორპუსი აკადემიკოსთა რიგების შევსებისა და გაახალგაზრდავების მთავარი რეზერვია. ჩვენ ამავე დროს მხარს ვუჭერთ სტიპენდიატის ინსტიტუტის შემოღებას 35 წლამდე ასაკის მკვლევართათვის და აკადემიასთან სათანადო ფონდის ჩამოყალიბებას.

ჩვენი აზრით, შემდგომ დამუშავებას მოითხოვს კანონპროექტის მოთხოვნა: აკადემიის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომლის ასაკი აღემატება 70 წელს. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო პრაქტიკა არ იცნობს ანალოგიური დაწესებულებების არჩევით თანამდებობებზე (მათ შორის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის) კანდიდატების ასაკობრივ ზღვარს. აკადემია თავისი სპეციფიკით ძირეულად განსხვავდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან, სადაც რექტორის თანამდებობის დასაკავებლად ასაკობრივი ბარიერია დაწესებული. თავისებურება ისაა, რომ უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა პროფესორს და, ამდენად, არჩევნებში მონაწილე კანდიდატების რაოდენობა საკმაოდ დიდი და არჩევანიც ფართოა. მაგრამ მოქმედი კანონით აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს მხოლოდ აკადემიკოსმა. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ამ თანამდებობებზე ასარჩევ პირთა წრეც შეზღუდულია. კანონპროექტი კიდევ უფრო ავიწროებს აღნიშნულ წრეს. თუ ამ კანონპროექტით ვიხელმძღვანელებთ, თუნდაც მოცემულ მომენტში, ეროვნული აკადემიის 63 წევრიდან არჩევანი უნდა გაკეთდეს 9 წევრს შორის, დანარჩენი 54 აკადემიკოსი რჩება არჩევის უფლების გარეშე.

დახვეწას საჭიროებს, აგრეთვე, კანონპროექტის ნორმა, რომლის მიხედვით აკადემიას შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ვიცე-პრეზიდენტი. საქმე ისაა, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ მოქმედი კანონის (თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი მე-3) თანახმად „აკადემია თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო, საკადრო, ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს“. შესაბამისად, ვიცე-პრეზიდენტების რაოდენობა უნდა განსაზღვროს თავად მეცნიერებათა აკადემიამ.

ორივე აკადემია გამოთქვამს მზადყოფნას, პარლამენტთან, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად აქტიურად ჩაერთოს წარმოდგენილი კანონპროექტის დახვეწასა და გადამუშავებაში, რათა მიღწეულ იქნას სამეცნიერო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფართო კონსენსუსი.

პატივისცემით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გიორგი კვესიტაძე;

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
გურამ ალექსიძე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების (2016 წ. 2 ივნისი)

დადგენილება

საერთო კრებამ განიხილა საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომელიც ორივე აკადემიაზე თანაბრად გავრცელდება.

კრებამ დაადგინა:

1) მისაღებია წინადადება, რომ აკადემიის აკადემიურ საბჭოს, როგორც ადრე, ეწოდოს აკადემიის პრეზიდიუმი;

2) მისაღებია, რომ აკადემიაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებდეს საქართველოს მთავრობა;

3) კრება იზიარებს კანონპროექტის სულისკვეთებას, რაც ახალგაზრდა პერსპექტიულ მეცნიერთა ხელშეწყობას და ამ საქმეში აკადემიის როლის გაზრდას გულისხმობს;

4) მიუღებელია კანონპროექტით გათვალისწინებული ნორმა: აკადემიის წევრ-კორესპონდენტთა ეტაპობრივი ჩანაცვლება სტიპენდიატებით, რადგანაც ის ვერ შეაჩერებს ქვეყნიდან ახალგაზრდა მეცნიერთა გადინების პროცესს. წევრ-კორესპონდენტის ინსტიტუტის გაუქმება მნიშვნელოვნად ამცირებს აკადემიის წევრთა რაოდენობას;

5) ასევე გაუმართლებელია აკადემიის პრეზიდენტისა და ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად ასაკობრივი ბარიერის დაწესება;

6) კანონპროექტი უგულებელყოფს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ მოქმედი კანონის (თავი II, მუხლი მე-3, პუნქტი მე-3) მოთხოვნას, რომლის თანახმად „აკადემია თვითმართვადი სამეცნიერო დაწესებულებაა, რომელიც განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, წყვეტს აკადემიის სამეცნიერო-საორგანიზაციო, საკადრო ეკონომიკურ და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს“. შესაბამისად, აკადემია თავად განსაზღვრავს ვიცე-პრეზიდენტების რაოდენობას;

7) ორივე აკადემია გამოხატავს მზადყოფნას აქტიურად ჩაერთოს წარდგენილი კანონპროექტის დახვეწასა და გადამუშავებაში;

8) მიზანშეწონილად ჩაითვალოს, ორივე აკადემიის პრეზიდენტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით წერილობით მიმართონ საქართველოს პარლამენტს და მთავრობას.

კრების თავმჯდომარე, აკადემიკოსი
გიორგი კვესიტაძე

დღეს ჩვენ გვყავს თანამედროვე სახელმწიფოს შესაფერისი პოლიცია!

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, დღეს ქვეყანას ჰყავს თანამედროვე სახელმწიფოს შესაფერისი პოლიცია, რომელსაც ენდობა და რომლის იმედიც აქვს საზოგადოებას.

როგორც პრემიერმა პოლიციის დღესთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, ამ მხრივ საქართველო მოწინავე პოზიციებზეა რეგიონში და არა მხოლოდ რეგიონში.

„გილოცავთ პოლიციელთა პროფესიულ დღეს. მინდა, დიდი პატივისცემით მოგილოცოთ ეს დღე თითოეულ პოლიციელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს მთელ შემადგენლობას. ძალიან დიდია ის პასუხისმგებლობა, რომელსაც პოლიციელის ურთულესი პროფესია გაკისრებთ თითოეულ თქვენგანს. დღეს, ალბათ, ყოველი თქვენგანი კიდევ ერთხელ უფიქრდება საკუთარ პროფესიულ არჩევანს და დარწმუნებული ვარ, ამაყობთ, რომ საქართველოს სახელმწიფოს სამსახურში, ჩვენი ხალხის სამსახურში დგახართ. თქვენს ხელშია საზოგადოებრივი წესრიგი, თქვენს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული ჩვენი მოქალაქეების სიმშვიდე და უსაფრთხოება. ჩვენ ვიცით და ვაფასებთ, რომ წესრიგს, სიმშვიდეს, ჩვენს უსაფრთხოებას ხშირად საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად იცავთ. დიდი მადლობა მინდა, გითხრათ ყველას ერთგულებისთვის, სიმამაცისთვის, ქვეყნის წინაშე თავდადებისთვის“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

გიორგი მღებრიშვილი: ნამდვილი დასავლური ღირებულებების სახელმწიფო არის ის, სადაც პატივს სცემენ პოლიციელს

პოლიციელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე შს მინისტრის გიორგი მღებრიშვილის თხოვნით დამსწრეებმა დაღუპული პოლიციელების ხსოვნას პატივი მიაგეს.

„აქ შესრულდა საქართველოს ჰიმნი, რომელიც შეასრულა ვაჟთა გუნდმა. ამ ბიჭების ხმებს შორის ერთი განსაკუთრებულად მომწვდა. აქ დგას ჩვენი გარდაცვლილი პოლიციელის ბექა მარგიშვილის ვაჟი. მე ზუსტად ვიცი, რა სულისკვეთებით იზრდება ის. მე ზუსტად ვიცი, მან იცის, რომ ის გმირის შვილია. დიახ, მეგობრებო, პოლიციელი გმირია, ხოლო ნამდვილი დასავლური ღირებულებების სახელმწიფო არის ის, სადაც პატივს სცემენ პოლიციელს და საზოგადოების უსაფრთხოების სადარაჯოზე დაცემულ გმირებს“, — აღნიშნა გიორგი მღებრიშვილმა.

„ევროპოლის მისიამ დადებითად შეაფასა საქართველოს კანონმდებლობა და არსებული პრაქტიკა პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით. მათი ანგარიშის გათვალისწინებით ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა უკვე მიმდინარე წელს ევროპის პოლიციის სამსახურთან გავაფორმოთ მაღალი დონის შეთანხმება ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ, რომლის საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო მეკავშირე ოფიცერს წარგზავნის ევროპოლის შტაბბინაში.

დიახ მეგობრებო, კრიმინალი მხოლოდ საერთო ძალისხმევით დაიძლევა. ბუნებრივია, ეს არ არის საკმარისი, ამიტომ ჩვემ მუდმივად ვვითარდებით, რათა მაქსიმალურად მივუახლოვდეთ დასავლურ სტანდარტებს და ჯეროვნად გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს“, — თქვა მინისტრმა.

ირაკლი გოგავა: „რუსთავი-2“-ის საქმეზე ჩამოსული ყოფილი კონგრესმენი ფულის გათეთრებელი თაღლითია!

საქართველოს განვითარების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ყოფილი ექსპარლამენტარი ირაკლი გოგავა ყოფილი კონგრესმენის რობერტ ვექსლერის მიერ „რუსთავი-2“-ში სტუმრობას და განცხადებებს ეხმაურება.

გოგავას თქმით, რობერტ ვექსლერი ცნობილია ამერიკაში იმით, რომ მხილებული იყო ფულის გათეთრებაში, რის გამოც კოკნგრესის დატოვება მოუწია.

„ეს ვინ ჩამოუყვანიათ?! „ძვირფასი“ რობერტ ვექსლერი — ყოფილი კონგრესმენი ფლორიდიდან. მხილებული იქნა ფულის გათეთრებაში, გააყალბა ფინანსური დოკუმენტები და მოუწია კონგრესის დატოვება. გადავიდა ენჯეოში, რომელიც არაბულ-ებრაულ ურთიერთობებზე მუშაობს. და კიდევ: ვექსლერი გადასახადებს უმალავდა აშშ-ის მთავრობას. ფიქტიური რეგისტრაცია გაიარა სიდედრის სახლში ფლორიდაში, ვითომ იქ ცხოვრობდა. რეალურად კი მერილენდში და ვაშინგტონში იყო. ეს იმიტომ, რომ ფლორიდის რეგისტრაციით გადასახადებს გაცილებით ნაკლებს იხდი ამერიკაში. რამდენი ჩაურიცხა ნეტავ პატივცემულ ვექსლერს თემურ იაკობაშვილმა (იგულისხმე სააკაშვილი) აქ ჩამოსვლისთვის?

P. S. გვახსოვდეს ერთი: ნებისმიერი უცხოელი, რომელიც ნაციონალებს მხარს უჭერს, მხოლოდ მერკანტილური ინტერესით მოქმედებს. ნორმალური უცხოელი მოღვაწე მათთან კავშირით რეპუტაციას არ შეილახავს. ასეთი განწყობაა აშშ-იც და ევროპაშიც“, — წერს გოგავა „ფეისბუქის“ პირად გვერდზე.

შეგახსენებთ, „რუსთავი-2“-ის ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, ყოფილი კონგრესმენი რობერტ ვექსლერი ტელეკომპანიაში სტუმრობისას გამოეხმაურა და განაცხადა, რომ „რუსთავი-2“-ის საქმეში საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღება მნიშვნელოვანი ფაქტორი იქნება.

„საქართველო ამერიკის შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა. საქართველოს სტაბილურობა ამერიკის ინტერესის საგანია. სტაბილურობის შემადგენელი მედია თავისუფლებაა. „რუსთავი-2“ არის უმნიშვნელოვანესი მედიაფორუმი, რომელსაც უამრავი ქართველი სცემს პატივს. ჩვენ უნდა დავიცვათ თავისუფალი მედია და დავეხმაროთ მას შენარჩუნებაში, რასაც ეს ტელევიზია იმსახურებს. აშშ-ის საელჩო ყურადღებით ადევნებს თვალს პროცესებს“, — აცხადებს ვექსლერი.

ლილუ მიროტაძე

ირაკლი შოთაძე აღშფოთებულია!

ერთმნიშვნელოვანი ტყუილი მიზანმიმართულია პროკურატურის დისკრედიტაციისკენ!

არასდროს საქართველოს პროკურატურაში არანაირი ინფორმაცია, არანაირი განცხადება, არანაირი საჩივარი მოსამართლე ნათია გუჯაბიძის მიმართ არ შემოსულა — ამ განცხადებით საქართველოს მთავარი პროკურორი ირაკლი შოთაძე მოსამართლე ნათია გუჯაბიძის შესახებ, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიერ გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება და განმარტავს, რომ გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა აღნიშნული მოსამართლის მიმართ არ მიმდინარეობს. **„ეს არის ცალსახა, ერთმნიშვნელოვანი ტყუილი. ყოველთვის არის შესაძლებელი წინასწარ, ვიდრე ინფორმაცია გავრცელდება, ჩვენთან ამ ინფორმაციის გადამოწმება, თუმცა არავის გადაუმოწმებია. აშკარაა, რომ ცრუ ინფორმაციის გავრცელების მიზანი, რომელიც ეხებოდა იმას, რომ ვითომ ჩვენ დევნას ვახორციელებთ მოსამართლე გუჯაბიძის მიმართ, აშკარად მიზანმიმართულია პროკურატურის დისკრედიტაციისკენ და ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას“!..**

◎ მთავრობამ ფირფიტა გადააბრუნა...

საფინანსო ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკში რჩება

მთავრობამ არც აცია, არც აცხელა და საფინანსო ზედამხედველობის ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან გამოყოფა გადაიფიქრა. თავი რომ დავანებოთ იურიდიულ კაზუსს, რომელიც ამ მომენტისათვის ახალი გადაწყვეტილების აღსრულებისათვის შეიქმნა, მთავრობა უხერხულ მდგომარეობაში იყენებს თავს. თუკი რამდენიმე თვის წინ ზედამხედველობის გამოყოფა მისთვის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი იყო, რა შეიცვალა მიმდინარე წლის მარტის შემდეგ? სექტორის სისტემური გამართულობა უფრო მნიშვნელოვანია თუ ეროვნული ბანკის მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება?

ვიცე-პრემიერი დიმიტრი ქუმსიშვილი დაუფარავად ამბობს, რომ საფინანსო ზედამხედველობის ეროვნულ ბანკში დატოვების გადაწყვეტილება მიღებულია.

„მე ვთვლი, რომ ეს საკითხი ამოწურულია და ამ წუთში ჩვენ ყველანი ვართ შეთანხმებულები, რომ ფინანსური ზედამხედველობა დარჩება ეროვნულ ბანკში“, — განაცხადა მინისტრმა.

ქუმსიშვილის ლაკონური გამონათქვამიდან უცნობია, შედგა თუ არა კონსულტაციები საკონსტიტუციო სასამართლოსთან, რომელიც უკვე რამდენიმე თვეა დაახლოებით 1 წლის წინ მიღებული და აუმოქმედებელი კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობას სწავლობს. ასევე არც ისაა ცნობილი, რა გზით გააუქმებს კანონს ხელისუფლება კარსმომდგარი არჩევნების წინ, თუკი სასამართლო კანონს კონსტიტუციასთან შესაბამისად ცნობს. გარდა ამისა, საინტერესოა, რამდენად გამონახავს საერთო ენას მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობასთან, რომელმაც თავის დროზე ეს კანონი დიდი დაპირისპირების ფონზე მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკს საფინანსო ზედამხედველობის სამსახური შარშან გამოეყო, ფინანსური მონიტორინგის სამსახურს დამოუკიდებლად არ უმუშავია. საქმე ამ ეტაპზე საკონსტიტუციო სასამართლოშია გასაჩივრებული. გასული წლის ოქტომბერში საკონსტიტიციო სასამართლომ სამსახურის საქმიანობის დროებით შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. შედეგად, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ბანკებზე ზედამხედველობას კვლავ ეროვნული ბანკი ახორციელებს.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის ხელმძღვანელი თამაზ მეჭიაური დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებას პარლამენტის უპატივცემულობად აფასებს.

„კანონპროექტი თავის დროზე მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე იყო მიღებული. გამოდის, რომ დღევანდელი მთავრობა ძალიან ლოიალურად არის განწყობილი სებ-ის ყოფილი პრეზიდენტის გიორგი ქადაგიძის მიმართ“, — აცხადებს მეჭიაური და დასძენს, რომ ეკონომიკის მინისტრი მაშინაც მთავრობაში იყო და ამ კანონის მომზადებაში მონაწილეობდა.

„ეროვნული ბანკის ამჟამინდელი პრეზიდენტი, წინამორბედისგან განსხვავებით, პოლიტიზირებული ფიგურა არ გახლავთ. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობის სამსახური ისევ ეროვნული ბანკის შემადგენლობაში დარჩება, ეს პარლამენტის მიმართ უპატივცემულობის გამოვლენა იქნება.

კანონმდებლობა არ უნდა იყოს ამა თუ იმ პიროვნების კეთილ ნებაზე დამოკიდებული. სებ-ისგან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფასთან დაკავშირებით კანონპროექტი თავის დროზე მთავრობასთან აქტიური თანამშრომლობის ფონზე იყო მიღებული“, — აცხადებს მეჭიაური.

სულ სხვაგვარად ფიქრობს საპარლამენტო ოპოზიცია. პარლამენტის ფრაქცია „თავისუფალი დემოკრატების“ წევრი დავით ონოფრიშვილი მიიჩნევს, რომ ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებები, რომელიც ბანკიდან ფინანსური ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფას გულისხმობდა, ხელისუფლებამ კონკრეტული მიზნით მიიღო.

„ეს იყო თავიდანვე აბსოლუტურად ცრუ აჟიოტაჟი, რეალობასთან არაფერი კავშირი არ ჰქონდა. ეს იყო უბრალოდ მცდელობა, რომ მთავრობას გაემართლებინა თავისი სისუსტეები — სავალუტო კრიზისის დროს ლარის გაუფასურება და დაბრალებოდა ეს ეროვნულ ბანკს. აქ მოინახა სწორედ ფინანსური ზედამხედველობის სამსახური, თითქოს ამ სამსახურის გამო ხდებოდა ლარის გაუფასურება. ეს აბსოლუტურად მცდარი მოსაზრება იყო. ამას მხარს არ უჭერდა არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, უპირველეს ყოვლისა, სავალუტო ფონდი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი“, — განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

ბექა დანელია

ლავუაზიეს კანონი

● რა მუცლის გვრემა აუტყდა უფალ გუბაზ სანიკიძეს?
● ნიკა გვარამიას ვნებანი

დი**დ**ი თავი სულაც არ არის დიდი ჭკუის მანიშნებელი.

ეს ლავუაზიეს კანონია.

ამ კანონის მიხედვით საქართველოს პარლამენტის წევრი, ფორუმელი გუბაზ სანიკიძე დიდი გაქანების კაცი არ არის.

ეს, ზემოხსენებული კანონის გარდა, იმითაც მტკიცდება, რომ ასაკოვანი კაცი, მიუხედავად იმისა, რომ გოდორივით თავი ადგას, აქამდე არაფრით გამორჩეულა.

არც მეცნიერებაში. აქამდე მხოლოდ ერთადერთი პატარა წიგნის თანაავტორია მამასთან, ნეტარხსენებულ ლევან სანიკიძესთან ერთად. „უბის ისტორია – ქართული ბასილოგრაფია (მეფეთა ნუსხა)“ ასე ჰქვია ამ წიგნს და... გადაშლი თუ არა, მაშინვე იმას იფიქრებ, გუბაზის თანაავტორობა არაფერ შუაშია, ოდენ მამის ნამუშაკევიაო (ყოველ შემთხვევაში, დამოუკიდებელ მის ნაშრომებს მკითხველი არ იცნობს!)..

ამას ის მალაპარაკებს, რომ როცა ბატონი გუბაზი თვალებს ზეცად აღაპყრობს და რაიმე ჭკვიანურის შობას დააპირებს, არ შეცდეთ და არ იფიქროთ, ეს კაცი ბრძნული აზრებით დატვირთული სწავლულიაო, უფრო ხელმოცარული ეთქმის.

არც სამოქალაქო ცხოვრებაში. მთელი მისი დღე და მოსწრება ფულის შოვნაზე ოცნებობდა – მიჯნად მილიონი დოლარი ჰქონდა დასახული, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, ბიზნესმენი ვერ გახდა, ისე კი, მარტო ამხელა თავის გამო, თუ შიგ არაფერი ყრია, მილიონს კი არა, ორ შაურსაც არავინ მოგცემს. და დარჩა გუბაზი უმილიონოდ.

არც სადეპუტატო საქმიანობაში. სამი წელია, ზის პარლამენტში და რაიმე გონივრულის თქმით არავინ გაუკვირვებია. ზის გუდურასავით და სძინავს, ხმას არ იღებს. ძილში კი რა სიბრძნე გადმოელვრება ყურებიდან.

ახლა ვინმე შემომეკამათება, გენიალური ნიუტონი ლამის მთელი ცხოვრება იჯდა ინგლისის პარლამენტში და ერთადერთხელ გააღო პირი, ფანჯარა დახურეთ, ორპირი ქარიაო.

მაგრამ ის ნიუტონი იყო, ალბათ, პარლამენტის სხდომებზე თავის ბინომზე ფიქრობდა და როცა ორპირმა ქარმა დაუბერა, შეშინდა, აზრები არ ამიფრიალოსო. მეორეც, დიდ მეცნიერს ლავუაზიეს კანონიც და გუბაზიც ფეხებზე ეკიდა, იმის აღკვეთა მოითხოვა, რამაც შეაწუხა.

დეპუტატი გუბაზ სანიკიძე კი ლეთარგიული მდგომარეობიდან ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის ღია წერილმა გამოიყვანა. „უვიცი კაცის დაწერილია... საშუალოზე დაბალი დონის თამადის სიტყვებია. არის ძალიან სერიოზული უვიცობაც. აბსოლუტურად უნიჭო კაცის დაწერილია. აბსოლუტურად არაფერი ახალი ნათქვამი არაა: ზღაპრები, ზღაპრები და ზღაპრები“ – დააბოყინა ბატონმა გუბაზმა ტელეკომპანია „პირველის“ ეთერში.

შე მკითხავ კოდელ ნინოსავით ყველაფრის მცოდნე კაცო, ავტორს რომ მიმინოსავით მიაფრინდი, უნიჭო და უმეცარი ხარო, ორი სიტყვით მაინც რატომ არ დააკვალიანე, რა არ მოგეწონა, რა დაუწუნე, თორემ ეგრე ხომ შენისთანა გულმეცნიერს კი არა, ვინმე ბაბაჯანასაც შეუძლია, არ ვარგაო და მორჩა. მაშ, შენსა და ბაბაჯანას შორის რა განსხვავებაა?!

ერთი ამბავი მახსენდება, რომელიც თბილისში ანეკდოტივით დადიოდა გასული საუკუნის 50-60-იან წლებში.

გიორგი ლეონიძეს ომიდან დაბრუნებული ერთი კახელი ლექსის მთხზველი მიუყვანეს, დაეხმარე, იქნებ ამისგან რამე გამოდნესო. ახედ-დახედა მასპინძელმა ჯარისკაცისმაზარიან, შიმშილით ყბა-ყბაში გაცმულ სტუმარს და ჰკითხა, აბა რა დაგიწერია, რას წამიკითხავო? ერთი კარგი ლექსი მაქვს, „საცოდავი ჩერჩილი“ ჰქვია, იმასო. გადაბრუნდა სიცილით ლეონიძე, შე მათხოვარო, შენი შესაცოდებელი რა სჭირს ჩერჩილსო.

ესე იგი, „წერილის“ ავტორი „აბსოლუტურად უნიჭო, ძალიან სერიოზული უვიცია“ და გუბაზ სანიკიძე აბსოლუტურად ნიჭიერი და მცოდნე?

ადრე, სოციალიზმის ეპოქაში, გვასწავლიდნენ, რომ ბიზნესმენობა, საქმოსნობა ოდენ მომხვეჭელობა და საძრახისია, რომ „ფულის შოვნა“ მხოლოდ დანაშაულებრივი გზით ხდება... შეიცვალა დრო და აღმოჩნდა, რომ ბიზნესმენობის ნიჭი კაცს ისევე უნდა დაჰყვეს, როგორც მათემატიკოსობის, მუსიკოსობის... რომ ბიზნესმენობას დიდი შრომა და ცოდნა სჭირდება (ლაპარაკია კანონიერზე და არა ბანდიტიზმზე, რისი მაგალითებიც უხვად არის ჩვენშიც და ჩვენს გარეთაც).

ჰოდა, ამ აბსოლუტურად ნიჭიერმა და მცოდნე გუბაზმა რატომ ვერ იშოვა თავისი ოცნებისეული მილიონი და რატომ იშოვა ძალიან სერიოზულად უვიცმა, აბსოლუტურად უნიჭო კაცმა ბიძინამ არა თუ მილიონი, არამედ მილიარდები, თანაც არა ამ ყრუ საქართველოში, არამედ ჩასაფრებულ რუსეთში, სადაც დიდი და პატარა ლუპით გაკვირდება არარუსს.

საქმე ის არის, რომ სანიკიძის ზემორე ბრძნული გამონათქვამიდან გამოსჭვივის, თანაც უბრალოდ კი არ გამოსჭვივის, არამედ ბღავის, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი, კლასიკური შური წარმატებული კაცის მიმართ, მდიდრისადმი ღარიბის საუკუნოვანი სიძულვილი.

ეს ერთი. მეორეც, ეს „კრიტიკის“ ადრესატის ჩაწიხვლის ხარჯზე საკუთარი თავის რამენაირად წამოწევის დაუოკებელი, შეუნიღბავი მცდელობაა.

შე მკითხავ კოდელ ნინოსავით ყველაფრის მცოდნე კაცო, ავტორს რომ მიმინოსავით მიაფრინდი, უნიჭო და უმეცარი ხარო, ორი სიტყვით მაინც რატომ არ დააკვალიანე, რა არ მოგეწონა, რა დაუწუნე, თორემ ეგრე ხომ შენისთანა გულმეცნიერს კი არა, ვინმე ბაბაჯანასაც შეუძლია, არ ვარგაო და მორჩა. მაშ, შენსა და ბაბაჯანას შორის რა განსხვავებაა?!

მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდია. იმ დღეს სანიკიძემ კიდევ თქვა რაღაც-რაღაცები: „ოცნებას“ არა აქვს ჩამოყალიბებული ხედვები და მისი წევრები დილეტანტები არიანო, „ქართული ოცნების“ მთავარი ავადმყოფობა – ქრონიკული დილეტანტიზმი გაგრძელდება და გაძლიერდებაო.

მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული კაცი იოლად მიხვდება, რომ „ქართული ოცნება“ დილეტანტიზმს მას შემდეგ მოუცავს, რაც გუბაზ ბრძენი და მისი ფორუმი გავიდნენ კოალიციიდან და სანიკიძემ გუშინდელი მეგობრები და პარტნიორები თავისი აუწონავი ცოდნის გარეშე დატოვა. აი, სანამ თვითონაც ბლოკში იყო, ქოცების დილეტანტიზმი არავის შეუმჩნევია, რაც მთავარია, ბატონმა გუბაზმა უხვად შეიხვილიფა ამ კოალიციაში ყოფნის თანამდევი სიკეთეები, რაც მთავარია, დეპუტატობის სიტკბო, რასაც უამკოალიციოდ მისდღემში ვერ ეღირსებოდა.

მაგრამ ეს მთავარი არ არის. ბიძინა ივანიშვილს ჰაი-ჰაი რომ მართლაც ეკუთვნის საყვედური, ოღონდ არა სანიკიძისა და მისი მსგავსი ბოლო ჟამს განდგომილებისგან, რომლებსაც აქამდე ხმაც კი არ ამოუღიათ იმაზე, თურმე რა უბედურება ტრიალებდა კოალიციის შიგნით და ახლა, როცა მათი გამოისობით კოალიცია დაიშალა, ამოიდგეს ენები.

მოდით, რამდენიმე მთავარი ბრალდება გავიხსენოთ:

ბიძინა ივანიშვილი დამნაშავეა კოჰაბიტაციის შემოგდებაში, რამაც უზარმაზარი ზიანი მიაყენა საზოგადოებას;

ბიძინა ივანიშვილი დამნაშავეა იმაში, რომ კოალიციაში შეიყვანა სრულიად შემთხვევითი, ქარიფანტია, უმადური სუბიექტები, რამაც წაბილწა და წაახდინა კოალიცია საბოლოოდ.

ბიძინა ივანიშვილი დამნაშავეა იმაში, რომ იგი უდროოდ განერიდა პოლიტიკურ საქმიანობას (ოფიციალურად მაინც?) და საჭე მიანდო უხერხემლოებსა და სუსტხერხემლიანებს, რის გამოც ვერ მოხერხდა წინასაარჩევნო უხვი დაპირებების ბოლომდე შესრულება, რამაც ლახვარი ჩასცა „ქართული ოცნების“ იმიჯს. ეს მეგადაპირებები მან გასცა წინა ხელისუფალთა გამოცდილების მაგალითისამებრ, როცა ენას ძვალი არ ჰქონდა და ვერ გაითვალისწინა შეცვლილი გარემოება, როცა ყველაფერს კაკალ-კაკალ დაუთვლიდნენ.

მაგრამ გვეყო გუბაზ სანიკიძის სატელევიზიო თვითმკვლელობაზე საუბარი. არანაკლები სხვაც არის...

* * *

სახელმწიფო ეს მე ვარო, ამბობდა მეფე ლუი XIV.

სახელმწიფო სახელმწიფოში ეს მე ვარო, ამბობს „რუსთავი-2“.

გასდის და ამბობს.

ძალიც შესწევს ქადილისა. მე რომ 1 ივნისს „რუსთავი-2“-ს ვუსმინე, ან „რუსთავი-2“-ის საკასაციო სასამართლოს მივადევნე თვალი, დიაღაც დავრწმუნდი, რომ ეს მართლაც ასეა.

მაგალითად, არხის გენერალურმა დირექტორმა ნიკა გვარამიამ ისე აიწყვიტა, ისე მწლაკედ ლანძღავს სასამართლოს და ხელისუფლებას, ისე უხვად ასხამს ლაფსა და წუნწუხს, რომ სასამართლოსა და ხელისუფლების ცოდვით დაიწვები.

კიდევ ეს მოგიკლავს გულს: ვერც ხელისუფლება და ვერც სასამართლო თავს ვერ იცავენ, ამის იოტისოდენა საშუალება, უბრალოდ ამის ტრ...კი არ აქვთ.

იქნებ ვცდები, იქნებ ასე სულაც არ არის და უბრალოდ, მეჩენება? იქნებ სასამართლოს კიდევ აქვს ბრჭყალები, რომ განსაკუთრებით თავმომაბეზრებელთ დასჯის აპრობირებული მეთოდის – სხდომიდან გაძევების ნაცვლად უფრო ქმედითად მოსცხოს ჭაჭებში.

აი, ხელისუფლებას კი ეს ჰიპოთეტური შესაძლებლობაც არ აქვს, ამიტომ გამოდის ხოლმე გალანძღული პრემიერ-მინისტრი ტელეეკრანზე მორცხვად და დუნედ (წინა პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა თვალების დაკვესება მაინც იცოდა, ხანდახან უადგილოდაც კი, მაგრამ მაინც)... თუმცაღა, პრემიერ კვირიკაშვილის გუშინდელი შეფასება, „გვარამია კაცი რომ იყოს, ვუპასუხებდიო“, გულს მომეფონა!

„ცრუსთავი-2“-ის ჯინი კი უკვე თითქმის მთლიანად ამოძვრა ბოთლიდან, აწი მისი უკან ჩაბრუნება ძალიან ძნელი იქნება. ნიკა გვარამია და მისი ადვოკატები ისეთ მაგალითს აძლევენ საზოგადოებას, რომლის შედეგიც კენწეროში სულაც არ გატკბილდების. პირიქით!

გაითვალისწინეთ ეს, ბატონო პრემიერო თუ ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, ნუთუ არ მოიძევა კანონში კრაზანების ამ გაუთავებელი ფუთფუთის შემაკავებელი რამ, ოღონდ დემოკრატიული? ეს ბოლო პირობა აუცილებლად გასათვალისწინებელია, რათა „ცრუსთავი-2“-ის მოჟივჟივე კლაკერები, რომელთა რიცხვიცა და ვარვარიც დღითი დღე მატულობს, ხელისულების მზარდი უნიათობის შესაბამისად, სამართლებრივი სფეროდან არ გამოიყვანონ, ანუ ამ სფეროდან გამოსვლის საბაბი არ მისცენ.

მოსამართლე ქალბატონი, რომელმაც ნიკა გვარამიას სხდომიდან გაძევება მოითხოვა უმსგავსობათა გამო, ნიკამ დაწყევლა, შენ კარგად ვერ დაამთავრებო. აქ პროცესის დამთავრება არ იგულისხმება, მოსამართლე გააფრთხილა, კარიერას და ცხოვრებას ცუდად დაამთავრებო.

თუმცა ეს ერთობ საორჭოფო საკითხია, ვინ დაამთავრებს ცუდად: მოსამართლე თუ თვით ნიკა?

ერთი კია, ნაგენერალურპროკურორისმოადგილარი იურისტი კაცი მისეული უსუსური არგუმენტებით არ უნდა აპელირებდეს. „ერთი ვინმე სასულიერო პირის ნაამბობი, რაც მას უამბეს“, არ უნდა მოჰყავდეს მთავარ დასაბუთებად და არ უნდა უკვირდეს, რომ მისი ეს „დასაბუთება“ ქვას არ ხეთქავს.

სამაგიეროდ, სხდომის დარბაზის გარეთ მორუზრუზე ადამიანები კენკავენ ამ „სიმართლეებს“. გაფაციცებით და სისხლმოწოლილი თვალებითა და სიძულვილისგან მოღრეცილი ბაგეებით ემუქრებიან მთელ ქვეყანას, რომ „არჩევნების შემდეგ ქოცების და ბიძინას ბოგინს ბოლო მოეღება“, რომ „ჩვენი პრეზიდენტი“ ოდესიდან თეთრ ცხენზე ამხედრებული დაბრუნდა, რომ არც ერთ „დღევანდელს“ აღარ გააჩერებენ საქართველოში.

რას იზამ, ესეც ლავუაზიეს კანონია!..

ალეკო ასლანიშვილი

ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: ᲒᲣᲑᲐᲖ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ!

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი „ეროვნული ფორუმის“ ლიდერის გუბაზ სანიკიძის განცხადებაზე კომენტარს არ აკეთებს და განმარტავს, რომ მისთვის ეს არ არის საინტერესო.

„საშუალოზე დაბალი დონის თამადის სიტყვები“ — ასე აფასებს გუბაზ სანიკიძე ბიძინა ივანიშვილის წერილის შინაარსს. სანიკიძემ კრიტიკული განცხადებები „ტვ პირველის“ პირდაპირ ეთერში გააკეთა. მისი თქმით, ამ წერილით ბიძინა ივანიშვილმა „ძალიან დაიპატარავა თავისი მასშტაბები“. სანიკიძე ამბობს, რომ ქვეყანაში გვაქვს არაფორმალური მმართველობა და ივანიშვილი ლაპარაკობს მთელი მთავრობის სახელით. ყოფილი პრემიერ-მიონისტრის ღია წერილს მისი ყოფილი თანაგუნდელი „უნიჭო კაცის დაწერილს“ უწოდებს და ამბობს, რომ ბიძინა ივანიშვილი არის მხარე, რომელსაც ამის შემდეგ, „ცუდი ამინდიც კი მას დაბრალდება“.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲑᲣᲠᲭᲣᲚᲐᲫᲔᲡ ᲕᲣᲠᲩᲔᲕ, ᲜᲣ ᲘᲪᲠᲣᲔᲑᲡ!

ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲑᲓᲐ თუ არა 2013 წელს ბიძინა ივანიშვილი პაატა ბურჭულაძეს პრეზიდენტობის კანდიდატობას — შეკითხვა ექს-პრემიერმა ივანიშვილმა უპასუხოდ დატოვა, თუმცა ბურჭულაძეს ურჩია, არ იცრუოს.

ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚ ᲛᲔᲓᲘᲐᲡ ᲓᲐ ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ პრემიერ-მინისტრი მზად არის, კრიტიკულად განწყობილ ექსპერტებს და ჟურნალისტებს შეხვდეს. ის მივა „რუსთავი-2“-ში, მხოლოდ იმ პირობით, რომ მის ბოლო წერილში დასმულ საკითხებზე საუბრის საშუალება მიეცემა, ამის შემდეგ კი მზად არის, მათ კრიტიკულ შეკითხვებს უპასუხოს.

ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲓᲐᲘᲚᲐᲚᲐ?!

„SVENSKA DAGBLADET“ (ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ): ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲣᲚᲘ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘ ᲙᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲔᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐ�გᲐᲜᲓᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲙᲘ ᲐᲠᲐ, ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲔᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲛᲘᲓᲒᲝᲛᲐᲐ



ᲨᲕᲔᲓᲣᲠ გამოცემა „Svenska Dagbladet“-ს მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში საუბარია საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებზე, ქართველ საზოგადოებაში არსებულ განწყობებზე, თანამედროვე აქტუალურ პრობლემებზე.

საინფორმაციო სააგენტო „ᲜᲘᲣᲡᲞᲠᲔᲡᲘ“ გთავაზობთ ᲗᲝᲛᲐᲡ ᲚᲣᲜᲓᲘᲜᲘᲡ ავტორობით გამოქვეყნებული სტატიის რეზიუმეს.

„საქართველოში დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ გამართულ აქციაზე პატივი მიაგეს 1989 წლის აპრილში „თბილისის ტრაგედიის“ მსხვერპლთა ხსოვნასაც: „მაშინ საბჭოთა კავშირი იყო, ახლა კი რუსეთი ცდილობს ჩვენს დამორჩილებას“, — ამბობს 23 წლის ზურაბი. მას ეთანხმება ქალიშვილიც, რომელსაც მხრებზე საქართველოს დროშა აქვს დაფენილი. იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოს მხსნელი რუსეთის აგრესიისაგან მხოლოდ ნატო და ევროკავშირია, რომლებიც მის ქვეყანას ეკონომიკის გაძლიერებაშიც დაეხმარებიან. **„დასავლეთის გარდა, ჩვენთვის სხვა ალტერნატივა არ არსებობს“,** — ამბობს იგი.

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ქართველების უმეტესობის განწყობა პროდასავლურია, მაგრამ უკვე ისეთი მტკიცე და ერთმნიშვნელოვანი აღარაა, როგორიც, ვთქვათ, რამდენიმე წლის წინ იყო, როცა ხალხი ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაზე ოცნებობდა, დასავლეთი კი, თავის მხრივ, საქართველოს ქება-დიდებას უძღვნიდა, როგორც დემოკრატიასა და საბაზრო ეკონომიკაში ყველაზე კარგ მოსწავლეს.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: ევროპის პოლიტიკურ რუკაზე რადიკალური ცვლილებები მოხდა. ევროკავშირი გაფართოებისაგან დაიღალა. დღეს ბრიუსელი მიგრაციის წინააღმდეგია, ის მემარჯვენე პოპულიზმს ებრძვის და ე.წ. „ბრექსიტის“ (დიდი ბრიტანეთის სავარაუდო გასვლას ევროკავშირიდან) მხარდამჭერებს უპირისპირდება, ნატო კი უკრაინის კრიზისის ანალიზითა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და ბალტიისპირეთში თავის ყოფნის გაძლიერებითაა დაკავებული. ასეთი ახალი პოლიტიკური სინამდვილის ფონზე ნატომ და ევროკავშირმა საქართველოსადმი ინტერესი დაკარგეს, რუსეთი კი, პირიქით, სამხრეთ კავკასიის რეგიონს თავისი ინტერესების სფეროდ მიიჩნევს, სადაც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კომუნიკაციები — კასპიის ზღვიდან ევროპაში მიმართული ნავთობ-გაზსადენები გადის და იქ თავისი „რბილი ძალის“ მოქმედებას ავრცელებს“, — წერს ავტორი.

სტატიაში რუსეთის გააქტიურების დამადასტურებლად ციტირებულია საქართველოს თავდაცვისა და ევროინტეგრაციის მინისტრები — თინა ხიდაშელი და დავით ბაქრაძე, რომლებიც ნატოს მოწინააღმდეგეთა რაოდენობის ზრდასა და მათი მიერ ჩატარებულ აქციებზე საუბრობენ. დღეს საქართველოში დაახლოებით 40-მდე ანტიდასავლური ორგანიზაცია მოქმედებს. მათი პროპაგანდის გასანეიტრალებლად ევროპული ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრის აპარატში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა, რომლის მიზანია, საართველოს მოსახლეობას დასავლური ღირებულებების არსი განუმარტოს და მათი სარგებლიანობა აუხსნას.

პუბლიკაციაში ავტორი საუბრობს აგრეთვე ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ გამოკითხვაზე, რომელიც საქართველოს მოსახლეობის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტირებს ეხება. სტატიაში გადმოცემულია ამ კვლევის შედეგები: მართალია, მოსახლეობის 80% ევროკავშირთან ინტეგრაცია სურს, მაგრამ სულ უფრო მეტი ფიქრობს, რომ ამ ინტეგრაციის პარალელურად, ურთიერთობა რუსეთთანაც უნდა გაუმჯობესდეს.

რუსეთის გავლენა განსაკუთრებით ფასეულობების საკითხშია შესამჩნევი: მაგალითად, ჰომოსექსუალიზმთან, ტრანსსექსუალებთან დამოკიდებულებაში. **„რუსეთის პროპაგანდას თუ დავუჯერებთ, საქართველო როგორც კი ევროკავშირში გაწევრიანდება, მაშინვე ერთნაირსქესიანთა ქორწინება დაკანონდება“,** — ამბობს ავტორთან საუბარში ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის პროდიუსერი გიორგი ლაფერაშვილი. მას ეთანხმება სტრატეგიული კვლევების ფონდის ანალიტიკოსი ქეთევან ემხვარი, რომლის აზრით, „იმ ადამიანების დასაყრდენი, რომლებიც ქართული ცხოვრების სტილს იცავენ, ეკლესია და რუსეთია“.

2015 წელს ევროპული პარტნიორობის ფონდის დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის 45% ევროკავშირს ქართული ტრადიციების საფრთხედ აღიქვამს. 2013 წელს ასეთ აზრი მოსახლეობის მხოლოდ 31%-ს ჰქონდა.

თბილისში ევროპელი დიპლომატები ადასტურებენ, რომ რუსული პროპაგანდის ნაკადი მატულობს და ფართოვდება, თუმცა ხაზს უსვამენ, რომ ამ საკითხს გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს: „პრინციპში, ეს რუსეთის წარმატება კი არ არის, არამედ უფრო რეალისტური შეხედულებაა ევროკავშირზე“, — ასეთ კომენტარს აკეთებს ავტორთან საუბრისას ერთ-ერთი ცნობილი დიპლომატი.

საქართველოში პროდასავლური ანალიტიკური ცენტრები ევროპის ქვეყნებისაგან და განსაკუთრებით, აშშ-ის მიერ ფინანსდება, — წერს ავტორი და იქვე აღნიშნავს, რომ ქართული ტელევიზიების პროდასავლური გადაცემების მწარმოებლები შვედურ ფულსაც იღებენ.

რაც შეეხება პრორუსულ კომპანიებს, მათ ზურგს უკან დგანან ევრაზიული ინსტიტუტი და „ევრაზიული არჩევანი“. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული რუს ნაციონალისტ ალექსანდრ დუგინის თანამოაზრეებთან, რომლებიც რუსეთის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობენ.

სავარაუდოდ, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, პროდასავლური პარტიები დიდი უპირატესობით გაიმარჯვებენ, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოში, ალბათ, პრორუსული პარტიებიც მოხვდებიან — პირველად 1991 წლიდან, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა. არაა გამორიცხული, რომ ისეთი უფლებამოსილება მიიღონ, რომლის მეშვეობით გავლენას მოახდენენ საქართველოს ევროატლანტიკურ პოლიტიკაზე.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲙᲝᲜᲓᲘᲢᲠᲝ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲛᲐ დიმიტრი ქუმსიშვილმა შპს „ბროტმაისტერის“ საკონდიტრო საწარმო დაათვალიერა, რომელიც თბილისში, სოფელ დიღომში მდებარეობს. საწარმო სამთავრობო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში შეიქმნა და ავსტრიელ პარტნიორებთან ერთად, ავსტრიულ პურ-ფუნთუშეულსა და საკონდიტრო პროდუქციას აწარმოებს.

შპს „ბროტმაისტერის“ ახალი საწარმოს შექმნისთვის „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტის ინვესტიციის ჯამური მოცულობა 240 000 აშშ დოლარს შეადგენს, დასაქმებულთა რიცხვი კი 35 ადამიანს უტოლდება. ახალი ობიექტების გახსნის შედეგად კიდევ 20 ადამიანის დასაქმება იგეგმება.

კომპანიის დირექტორის დავით შანიძის განცხადებით, საწარმოში წარმოებული პროდუქციის სარეალიზაციოდ, საწყის ეტაპზე, დაგეგმილია თანამედროვე კაფეტერიის გახსნა, ასევე გაიხსნება სპეციალიზირებული საკონდიტრო ნაწარმისა და პურ-ფუნთუშეულის მაღაზიაც. ქსელის შესაქმნელად თბილისის სხვადასხვა უბანში 7-8 ფილიალის ამოქმედება იგეგმება.

ᲔᲣᲗᲝ ᲗᲘᲛᲡᲐᲚᲛᲐᲙᲝᲡᲐᲕᲘᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲡ

2016 ᲬᲚᲘᲡ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისის მისია ანგარიშს აქვეყნებს. დოკუმენტი 11-გვერდიანია და შეფასებულია ქვეყანაში წინასაარჩევნო ვითარება.ანგარიშის თანახმად, 8 ოქტომბერის არჩევნები ჩატარდება პოლიტიკური დაძაბულობის ფონზე, რაც უარყოფით გავლენას ახდენს წინასაარჩევნო გარემოზე. ანგარიშში მოხვდა „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით მიმდინარე სამართლებრივი დავა და პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების გამოქვეყნება. ეუთოს მისიის შეფასებით, წინა საპარლამენტო არჩევნების შემდეგ კანონმდებლობა არსებითად შეცვლილი არ არის და გაუთვალისწინებელი დარჩა ის რეკომენდაციები, რომელიც კამპანიების დაფინანსებასა და მედიას შეეხება.

„გვარამია კაცი რომ იყოს, პასუხს გავცემდი“!

„კაცი რომ იყოს, პასუხს გავცემდი. მეტს ვერაფერს გეტყვით“, – ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით ჟურნალისტების შეკითხვას.„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებით, საქართველოს მოქმედი პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქციაში ფულით იყო ნაყიდი.

უფუნქციო პრეზიდენტი მოძველბიჭო დაჯგუფებებს აკრიტიკებს

როგორც გიორგი მარგველაშვილმა აჭარის ტელევიზიის ეთერში აღნიშნა, კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებული ხმაური იყო ბუნებრივი.

„კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებული სიჩუმე, რომელიც მესმის სამართალდამცავი ორგანოებიდან და შესაბამისი სტრუქტურებიდან, რომელთაც ამაზე უნდა გაეკეთებინათ შესაბამისი რეაქცია, უკვე დამაფიქრებელია. კორცხელი იყო რეპეტიცია 2016 წლის არჩევნების. 2016 წლის არჩევნები არის ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი გამოწვევა, რაც ჩვენს ქვეყანას აქვს თავისი ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე. ამ რეპეტიციის მიმართ უნდა ყოფილიყო სამაგალითო პოზიცია და რეაქცია.

როდესაც ვაკვირდებით ამ პროცესებს, მიჩნდება ეჭვი, რომ მმართველ კოალიციაში არის გარკვეული მოძველბიჭო დაჯგუფება, რომელიც ასე უყურებს ამ პროცესებს. ეს თავქარიანი მოძველბიჭო დაჯგუფება წარმატებით გადმოიბირეს ნაციონალური მოძრაობისგან, როგორც ზონდერული პოლიტიკა, ასევე ის მექანიზმები, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას ჰქონდა და, რომელსაც ძალიან ნათელი უარი ვუთხარით ზუსტად ოთხი წლის წინ. მათ ნაციონალების მიერ შექმნილი ძალადობრივი სისტემა გადმოიფორმეს და ახლა რაღაც დაჯგუფება საქართველოს სთავაზობს, რომ ასე წარმართავს პოლიტიკას“, - განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, ქართველმა საზოგადოებამ ნაციონალურ მოძრაობას სწორედ ამ ძალადობის გამო უთხრა უარი და გაუშვა ხელისუფლებიდან.

„არავის ეგონოს, რომ ისინი შეძლებენ იგივე მექანიზმები თავს მოახვიონ ქართველ საზოგადოებას. პირველ რიგში, არჩევნები ეკუთვნის საზოგადოებას და მერე —პოლიტიკოსებს. პირველ რიგში, ეს არის ჩვენი ამომრჩევლების ღონისძიება და მერე — პოლიტიკოსების. ყველამ იცოდეს, რომ ამ მოძველბიჭო ჯგუფს, რომელიც რაღაცას გეგმავს, უნდა გაეცეს პრინციპული პასუხი, მას უნდა გაეცეს პრინციპული პასუხი სახელმწიფოსგან. მე ვიქნები ჩართული ამ პროცესში ზედამხედველობის და გააზრების თვალსაზრისით“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

დიმიტრი ქუმსიშვილი: არანაირი სპეცდაჯგუფებები არ არსებობს

არანაირი სპეცდაჯგუფებები არ არსებობს და არც არავინ ფიქრობს, რომ რაიმე ტიპის სპეცდაჯგუფება შეიქმნას, — ასე გამოეხმაურა ჟურნალისტებთან საუბრისას ეკონომიკის მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოსაზრებას.

— პრეზიდენტის ეჭვებზე ვერაფერს ვიტყვი. შემიძლია მოგახსენოთ ინფორმაცია, რომელიც მე მაქვს — არანაირი სპეცდაჯგუფებები არ არსებობს და არც არავინ ფიქრობს, რომ რაიმე ტიპის სპეცდაჯგუფება შეიქმნას“, — განაცხადა ქუმსიშვილმა.

„მე ვარ პოლიციელი და პრეზიდენტის განცხადებებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ“

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის არჩილ თალაკვაძის განცხადებით, კორცხელის ინციდენტთან დაკავშირებით რამდენიმე პირს ბრალდება წარედგინა და დანარჩენზე, უკვე, სასამართლო იზრუნებს.

რაც შეეხება პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ მედიით გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, მას უჩნდება „ეჭვი, რომ მმართველ კოალიციაში არის გარკვეული მოძველბიჭო დაჯგუფება“, შს მინისტრის მოადგილე კომენტარს არ აკეთებს — „მე ვარ პოლიციელი და პრეზიდენტის წინადადებებზე, მის განცხადებებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ“, — აღნიშნა თალაკვაძემ.

ნაცებისგან გაწამებული საქართველო!

პარლამენტმა მოვლენებს სახელი უნდა დაარქვას!

2004-2012 წლებში, არაადამიანური მოპყრობისა და წამების ფაქტებზე სამართლებრივი შეფასება მომზადებულია, დასკვნითი სიტყვა კი, პარლამენტს ეკუთვნის.

პარლამენტის ადამიანის უფლებთა დაცვის კომიტეტის ფარგლებში შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც წინა ხელისუფლების მმართველობის პირობებში, საპატიმროებში არსებული ვითარება შეისწავლა და პატიმრები გამოჰკითხა, 83-გვერდიანი ანგარიში მოამზადა, რომელსაც დეპუტატები პლენარულ სხდომაზე განიხილავენ.

კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია განმარტავს, რომ პარლამენტს ვალებულება აქვს, შეაფასოს, ქვეყანაში ადამიანის უფლებების კუთხით, რა ხდებოდა.

დეპუტატის შეფასებით, ანგარიშიდან დასტურდება, რომ რაც ხდებოდა, უმძიმესი იყო.

კანონმდებლის განმარტებით, ანგარიში მნიშვნელოვანია, რომელიც პოლიტიკური განწყობით შედგენილი დოკუმენტი არ არის და მხოლოდ ფაქტებს, დოკუმენტებს ეყრდნობა და ანალიზს აკეთებს.

„დასკვნაში ჩანაწერს ვერსად ვერ ნახავთ - „ჩვენ ასე მივიჩნევთ“. დოკუმენტში წარმოდგენილია სტატისტიკა, შეფასებები და სასამართლოს განაჩენი. აკადემიური დოკუმენტი მოვამზადეთ, თუმცა, დასკვნა უმძიმესია“, — აცხადებს დეპუტატი.

„ეს სისტემური დანაშაულები იყო, რომელსაც მასობრივი სახე ჰქონდა. ამაში ჩართული ყველა სახელისუფლებო სტრუქტურა იყო, რაც პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასებაა. ანგარიშიდან გამომდინარე, პარლამენტი მთავრობას დავალებას მისცემს და საკუთარ თავს დაივალდებულებს, რომ ადამიანის დაცვის კუთხით, ახალი სტანდარტი განსაზღვროს. ასევე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის იდეას მხარს ვუჭერთ და კონკრეტული იდეები გვაქვს. ეს მასალა კი, გამოძიების ჩასატარებლად პროკურატურას გადაეგზავნება“, — განაცხადა ბესელიამ, რომელმაც ამ უმძიმესი ანგარიშის პრეზენტაცია გუშინ გამართა.

გარდა იმისა, რომ ანგარიშში **საუბარია პატიმრების წამების უსასტიკესს ფორმებზე, ასევე პატიმრების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ მათ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შედეგად, ჯანმრთელობა შეერყათ. პატიმართა ნაწილს ტრავმა მიღებული აქვს როგორც თავისა და სახის არეში, ასევე ცემის შედეგად, მათ დაეჟეჟათ ფილტვები და განუვითარდათ როგორც ეპილეფსია, აგრეთვე ტუბერკულოზი.**

სამუშაო ჯგუფის ცნობით, **ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში შესულია 6000 განცხადება, საიდანაც ის განცხადებები გამოიყო, რომელიც კონკრეტულ ინფორმაციას შეიცავდა — წამების, არადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტების შესახებ. სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა: წამებისა და არადამიანური მოპყრობის მასშტაბი, ინტენსივობა, მეთოდები, მიზნები, შედეგები და რეკომენდაციები მოამზადა.**

კერძოდ, სამუშაო ჯგუფი პარლამენტს 18 რეკომენდაციას აძლევს და მოუწოდებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ეფექტური დასრულყოფილი გამოძიების მიზნით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმი შეიქმნას, რომელიც ანგარიშვალდებული პარლამენტის წინაშე იქნება.

კითხვაზე — „თქვენი აზრით, ვისი უწყების დავალებით ხდებოდა ციხეებში პატიმართა წამება?“, ყოფილი პატიმრების 23% ამბობს, რომ ეს შსს იყო, 24% აცხადებს, რომ ეს პროკურატურა იყო, 33% მიიჩნევს, რომ ეს სასჯელაღსრულების სამინისტროს დავალებით ხდებოდა, 15% თვლის, რომ ეს იუსტიციის სამინისტრო იყო, 27% შემკვეთად პრეზიდენტის ადმინისტრაციას ასახელებს, ხოლო 33% ციხის ადმინისტრაციას.

წამების მეთოდებზე საუბრისას, გამოკითხული პირები ადასტურებენ, რომ პატიმართა წამებისთვის პირდაპირი ძალადობა გამოიყენებოდა. გამოკითხვის შედეგად, რესპონდენტთა 29% მიუთითებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს — მოხრჩობა, 79% — ადასტურებს ცემას, 17% — დენით წამებას, 12% — ჩამოკიდებას, 8% — წყალში ჩაძირვას, ხოლო 5% — დამწვრობის მიყენებას. ასევე პატიმრების ცნობით, დასჯის ფორმა იყო ცივ შენობებსა და ანტისანიტარიულ პირობებში ყოფნა.

ყოფილი პატიმრები ამბობენ, რომ **წამების დროს ასევე მიმართავდნენ ნერვულ სისტემაზე ზემოქმედებას, შიშისმომგვრელი ან გამაყრუებელი ბგერებით ძლიერ შუქს და ხშირად, პატიმარს ამყოფებდნენ იძულებით პოზაში, რისთვისც მიმართავდნენ — დაჭიმვას, ხელბორკილით დაბმას და იარაღით მუქარას.**

როგორც გამოკითხული პირები აცხადებენ, **ფიზიკური ძალადობის/წამების მიზეზები სხვადასხვა იყო. კერძოდ, რესპონდენტთა 56%-სთვის უფრო ხშირად აღნიშნული მიზეზები იყო: ბრალის აღიარება, საკუთარი თავის ან სხვა პირების წინააღმდეგ ჩვენებების მიცემა, ან პირიქით, ჩვენებაზე უარის თქმა.**

კვლევის მიხედვით, **54% ამბობს, რომ წამების და ბრალის აღიარების მიზეზი იყო: გამოძალვა, ფულის ან ქონების ძალით წართმევა.**

ანგარიშში საუბარია ყბადაღებულ „საპროცესო შეთანხმების“ გამოყენების მოტივებზე და აღნიშნულია, რომ რესპონდენტთა 48 პროცენტი აცხადებდა, რომ ბევრ ადამიანს იცნობდა, ვინც წამებისა და არადამინური მოპყრობის შედეგად საპროცესო შეთანხმებას დათანხმდა, ხოლო 15%-მა განაცხადა, რომ ისინი პირადად დათანხმდნენ საპროცესო გარიგებას წამებასა და არადამიანური მოპყრობის შედეგად.

ასევე კვლევიდან ირკვევა, რომ **გამოკითხულთა 38 პროცენტი ამბობს, რომ მათ პატიმრობის შედეგად ქონება დაკარგეს.**

პარლამენტში აღნიშნულ ანგარიშს თუ რა სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება, ამის თქმა რთულია... საზოგადოების დიდი ნაწილი ე.წ. სამართლიანობის აღდგენას ჯერ კიდევ 2012 წლიდან ითხოვს.

თეონა მანაგაძე

წამების მეთოდებზე საუბრისას, გამოკითხული პირები ადასტურებენ, რომ პატიმართა წამებისთვის პირდაპირი ძალადობა გამოიყენებოდა. გამოკითხვის შედეგად, რესპონდენტთა 29% მიუთითებს, რომ მის მიმართ გამოიყენეს — მოხრჩობა, 79% — ადასტურებს ცემას, 17% — დენით წამებას, 12% — ჩამოკიდებას, 8% — წყალში ჩაძირვას, ხოლო 5% — დამწვრობის მიყენებას. ასევე პატიმრების ცნობით, დასჯის ფორმა იყო ცივ შენობებსა და ანტისანიტარიულ პირობებში ყოფნა.



ნაცისტურ ბანაკებშიც არ ხდებოდა პრეზერვატივიანი ხელკეტებით კაცების წამება!

რეჟისორ გოგა ხაინდრავას ფილმის „9+1“-ის ნახვის შესაძლებლობა საზოგადოებას წინასაარჩევნოდ ექნება. ფილმში, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიან მმართველობას ასახავს, ასახულია ძალადობის ფაქტები. შესაბამისად, მისი ყურება არასრულწლოვანთათვის არ არის მიზანშეწონილი. როგორც ხაინდრავა for.ge-სთან საუბრისას აცხადებს, ფილმი ასახავს საქართველოს უახლეს ისტორიას, ძირითადად ნაჩვენები იქნება ის სამზარეულო, რაც ჯერ არ უნახავს ქართველ საზოგადოებას.

გოგა ხაინდრავა დღეს ჩვენი სტუმარია.

— „პრემიერ-მინისტრების მხრიდან მითითებები ადამიანების დაკავებაზე საქართველოში აღარ იქნება და მოლოდინებიც ნუ იქნება“, — ასე უპასუხა პრემიერმა „ნაციონალური მოძრაობის“ მოთხოვნას, რომ მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება კორცხელის ინციდენტში მონაწილე ადამიანების დაკავებასთან დაკავშირებით. ბატონო გოგა, როგორ ფიქრობთ, რამდენად აუცილებელია ამ ადამიანების წინააღმდეგ მართლმსაჯულების ამოქმედება?

— თუ კანონი დაირღვა, მართლმსაჯულება უნდა ამოქმედდეს. ბუნებრივია, სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ დაიცვას კანონი და კანონის დასაცავად სპეციალური ინსტიტუტებია შექმნილი. ის, რაც თქვა კვირიკაშვილმა, ეს ძალიან კარგია და აბსოლუტურად სწორი. ჩვენ წლების მანძილზე შეჩვეული ვიყავით იმას, რომ ამ ქვეყანაში ყველაფერს ერთი კაცი წყვეტდა. ადამიანების პატარა ჯგუფით იმართებოდა ეს ქვეყანა.

დღეს ვითარება შეიცვალა, საქართველო მიდის ევროპისკენ, ამ დიდ ოჯახს უბრუნდება არა მარტო ფიზიკურად, არამედ მენტალურად, სახელმწიფოებრივად და ეს არის გიორგი კვირიკაშვილის პრემიერ-მინისტრობა. ვფიქრობ, საქართველოს სინამდვილეში გაჩნდა ადამიანი, რომელზეც ნამდვილად შეიძლება ვთქვათ, რომ ევროპული ყაიდის პოლიტიკოსი და სახელმწიფოს მეთაურია. ნამდვილად მიხარია, რომ ასეთი პოლიტიკოსების დრო მოვიდა საქართველოში.

— პრემიერ-მინისტრზე ვსაუბრობთ და შესაბამისად, მინდა, გკითხოთ მისი განცხადების შესახებ, რომელიც მან „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორის მიმართ გააკეთა, რომ ადამიანი, რომელიც იყო ერთ-ერთი შემოქმედი იმ ყველაფრის, რაც 2007 წელს ხდებოდა ქვეყანაში, დღეს ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს საუბრის ასეთი გონორი, იზიარებთ ამ შეფასებას?

— გვარამია არის კანონის დამრღვევი, უზრდელი, ჩამოყალიბებული ნაძირალა, რომელიც აწამებდა ქართველ ხალხს. იმ სტრუქტურის შემქმნელი იყო, რომელმაც 100 ათასობით ჩვენს მოქალაქეს სიცოცხლე გაუმწარა. დღეს ეს კაცი თავისუფალი მედიის წინამძღოლობას ჩემულობს. „რუსთავი-2“ არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიური რუპორი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს თავისუფალ მედიასთან და არც ჰქონია არასოდეს, ისევე როგორც გვარამიას.

— თქვენ თვლით, რომ არ არის კრიტიკული მედია, რომლის არსებობის აუცილებლობაზე საუბრობენ...

— არ ვიცი ბოროტების აუცილებლობა როგორ უნდა გამართლდეს. არ ვიცი, რატომ უნდა არსებობდეს ბოროტება და რატომ უნდა ხდებოდეს ბოროტების დაცვა ამ ქვეყანაში. „რუსთავი-2“ მედია არ არის, არც ყოფილა და არც ჰქონია ეს დანიშნულება. ეს ტელევიზია არის სააკაშვილის საკუთრება, რომელიც ასრულებს იმ დავალებას, რასაც ეს პირსისხლიანი კაცი აძლევს. „რუსთავი-2“ იმ ადამიანის დავალებას ასრულებს, რომელსაც უბედურების მეტი ამ ქვეყნისთვის არაფერი მოუტანია, მის ვნებებს აკმაყოფილებენ და ამაში ფულს იღებენ.

> **„რუსთავი-2“ არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, „ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგიური რუპორი, რომელსაც არანაირი კავშირი არ აქვს თავისუფალ მედიასთან და არც ჰქონია არასოდეს, ისევე როგორც გვარამიას.**

არანაირი კავშირი „რუსთავი-2“-ს მედიასთან არ აქვს და ილუზიაა ისიც, როდესაც ჟურნალისტები როგორც კოლეგაზე ისე საუბრობთ გვარამიაზე. გვარამია როგორი პროკურორიც იყო, ისეთივე პროკურორი დარჩა. უბრალოდ, ამ თავხედს ახლა აქვს ეთერი და შესაძლებლობა იმისა, რომ იმ ენით ელაპარაკოს ქართველ საზოგადოებას, როგორადაც ლაპარაკობს. გადახედეთ სოციალურ ქსელს, გვარამიას და „რუსთავი-2“-ს მხარდაჭერას უცხადებენ ის ჟურნალისტები, რომლებიც გვარამიამ ფეხქვეშ გაიდო 7 ნოემბერს და ლამის ორსულობა მოუშალა. იმ „რუსთავი-2“-ს უცხადებენ მხარდაჭერას, რომელიც 7 ნოემბრის დარბევის პროპაგანდისტი იყო. 7 ნოემბრის მობრუნება უნდათ, მაგრამ არ გამოვა. რამდენი მხარიც არ უნდა დაუჭირონ და რამდენი კუდებიც არ უნდა გადააბან ერთმანეთს, „რუსთავი-2“ და ნაციონალური მოძრაობა საქართველოში ვერასოდეს ვერ გაჯეჯილდება.

— რაც შეეხება თქვენს ფილმს 9+1, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ 9-წლიან მმართველობას ასახავს და უკვე ცნობილია, რომ ფილმის ყურება არასრულწლოვანთათვის არ არის მიზანშეწონილი. ამ ფილმში რა არის ასახული?

— ეს ფილმი ასახავს საქართველოს უახლეს ისტორიას. ყველაფერი არის მეტ-ნაკლებად. ძირითადად ვაჩვენებთ იმ სამზარეულოს, რაც არ უნახავთ, იმ გარყვნილებას, რომლის შესახებაც ძალიან ბევრი აქვს გაგონილი ქართველ საზოგადოებას. ყველაფერს საზღვარი აქვს. ორთვენახევარი ვიჯექით რეალურ ციხეში. მე არ ვარ კოხტა კოდუა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, რომ ქართველ საზოგადოებას ის ვაჩვენო, რასაც ისინი სჩადიოდნენ, მაგრამ ფილმში მოყვანილი კადრები საკმარისი იქნება იმისთვის, რომ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ აქვთ გააზრებული რა დანაშაული აქვს ჩადენილი ნაციონალურ მოძრაობას, იქნებ ცოტა გონზე მოვიდნენ.

თუ არადა, გაერთიანდნენ კოხტა კოდუებთან, ლაგვილავებთან და იმ ადამიანებთან, რომლებიც წამებით კლავდნენ და აუპატიურებდნენ ქართველ საზოგადოებას. თუ უნდათ მათ რიგებში ყოფნა, იყვნენ, ეს მათი არჩევანია, ყველას ეცოდინება ვის წარმოადგენენ და ვისთან არიან... ვფიქრობ, რომ ესეც აბსოლუტურად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ საკუთარი შვილების შერცხვეთ.

— მაგრამ რამდენად სწორია ამ ფილმის ეთერში გაშვება, მით უმეტეს, რომ აქ საუბარია ძალადობისა და არადამიანური მოპყრობის კადრებზე?

— ძალადობა არის მთელი მსოფლიოს კონემატოგრაფია. ძალადობის მეტი რამე არის ეკრანაზე? სამწუხაროდ, ძალადობა და სექსი, მეტი არაფერი არ არის დღეს კინოში. მიზანშეწონილად მიმაჩნია ამ ფილმის ჩვენება, რადგან ეს უბედურება შეეხო ჩვენს ოჯახებს. უცებ დაავიწყდა ქართველ ხალხს რას სჩადიოდნენ ეს არადამიანები, მაგრამ გავახსენებ, რომ ვინმეს ილუზიები არ შეექმნას იმასთან დაკავშირებით, რომ ნაციონალურ მოძრაობას მომავალი აქვს საქართველოში. ამათ საქართველოში მომავალი არ აქვთ და ჩემი ფილმი ზუსტად იმისთვის კეთდება, რომ არასოდეს არ ჰქონდეთ მათ მომავალი. ვერავინ ვერ გაიფიქროს მეორედ, რომ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ბოკერია შეიძლება ქართულ სახელმწიფოს წარმოადგენდნენ.

— თქვენი ფილმი არის პრევენცია?

— პრევენცია ასე კეთდება. უნდა აჩვენო საზოგადოებას რა აქვს ამ ხალხს ჩადენილი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რას ითმენდა საქართველო. რაც საქართველოს ციხეებში ხდებოდა, ასეთი რამე თანამედროვე მსოფლიოს არ ახსოვს. ნაცისტურ ბანაკებშიც არ ხდებოდა პრეზერვატივიანი ხელკეტებით კაცების წამება! ადამიანის წამების ეს ხერხი, რომელიც სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, ადეიშვილმა, ბოკერიამ, უგულავამ და ახალაიებმა მოიგონეს, ასეთი რამ ფაშისტებს და ბოლშევიკებსაც არ მოუგონიათ. ათასობით ადამიანმა გამოიარა ეს უბედურება, ათასობით ოჯახი იყო გაუბედურებული მათი მხრიდან. ამ კადრების განადგურება არ შეიძლება და ის საზოგადოებას უნდა აჩვენო, რათა იცოდეს, ნაციონალების შემოხაზვისას ვის აძლევენ ხმას.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

„არც ერთი „ძველი ბიჭი“ მთავრობაში არ მუშაობს“

ჯანდაცვის მინისტრი პრეზიდენტის განცხადებას, რომლის მიხედვითაც, მას უჩნდება „ეჭვი, რომ მმართველ კოალიციაში არის გარკვეული მოძველებიჭო დაჯგუფება“ ეხმაურება და ამბობს, რომ მთავრობაში არცერთი „ძველი ბიჭი“ არ მუშაობს: „მე სამი წელი და რვა თვეა, უკვე მთავრობაში ვარ და პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არც ერთი „ძველი ბიჭი“ მთავრობაში არ მუშაობს“, — აღნიშნა დავით სერგეენკომ.

ხალხსა და ჩვენს შორის მედიატორი არის თავისუფალი მედია...

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა აჭარის ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, მედია დღეს უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თუმცა არის საკითხები, რომელიც გარკვეულწილად დამაფიქრებელია.

„შარშან ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ქართველ ჟურნალისტს ინგა გრიგოლიას დაუხურეს გადაცემა. მერე იყო ეკა მიშველაძის საქმე. წელსაც რამდენიმე ჟურნალისტი გაუშვეს სამსახურიდან. მიმდინარეობს გარკვეული დავები მედიის თაობაზე. ყველამ უნდა გავიაზროთ ერთი რამე — მედია არის ბიზნესი, მედია არის საქმიანობა, მაგრამ ჟურნალისტი და ჟურნალისტური საქმიანობა არ ეკუთვნის მხოლოდ კომპანიას, ჟურნალისტიც არ ეკუთვნის თავის თავს, ეკუთვნის საზოგადოებას“,- აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტის აზრით, ჟურნალისტი და ჟურნალისტური საქმიანობა არის შემადგენელი ნაწილი სახელმწიფოს დემოკრატიული ფუნქციონირებისა.

გიორგი მარგველაშვილმა მოუწოდა ყველა პოლიტიკოსს, მაღალი თანამდებობის პირს, ყველა სახელმწიფო მოხელეს, რომ გაიაზროს მნიშვნელობა იმისა, რომ მედიასთან ურთიერთობა არის ძალიან საფრთხილო.

„თავის გადაწყვეტილებებში, თავის კომენტარებში, თავის შეხედულებებში იყვნენ ძალიან ფრთხილი, რადგან ისინი რაღაც კონკრეტულ მოვლენაზე კი არ საუბრობენ, ისინი საუბრობენ ქვაკუთხედზე დემოკრატიისა, იმ მექანიზმებზე, რომელიც რთავს საზოგადოებას პოლიტიკურ პროცესებში. არც მე, არც არც ერთ პოლიტკოსს არ აქვს ძალა, მათ ძალას საზოგადოება და ხალხი აძლევს. ხალხსა და ჩვენს შორის მედიატორი არის თავისუფალი მედია. შესაბამისად, ძალიან ფრთხილები უნდა ვიყოთ. ბუნებრივია, მე ყოველთვის ამ საკითხებთან დაკავშირებით, ყურადღებით ვიქნები და ჩემს პოზიციას ძალიან ნათლად, მძაფრად დავაფიქსირებ“, — აღნიშნა გიორგი მარგველაშვილმა.

„ტაბულა“ მზად არის, ბიძინა ივანიშვილს საეთერო დრო დაუთმოს

ტელეკომპანია „ტაბულა“ მზად არის ყოფილი პრემიერ-მინისტრის შემოთავაზება მიიღოს და ბიძინა ივანიშვილს საეთერო დრო დაუთმოს. „მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში გამოჩნდა, ტაბულამ მრავალგზის სცადა, მასთან ინტერვიუ ჩაეწერა. მას ვთავაზობდით როგორ ჟურნალ ტაბულას ფურცლებს, ასევე სატელევიზიო ეთერს. ჩვენ მზად ვიყავით და ვართ, მასთან ინტერვიუს თემები წინასწარ შეგვეთანხმებინა მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რათა თავიდან აერიდებინა სიურპრიზები და მიგვეცა შესაძლებლობა, უკეთ მომზადებულიყო საზოგადოებისთვის და ჩვენთვის საინტერესო იმ თემებზე პასუხის გასაცემად, რომელთა თავიდან არიდების კომფორტიც მისთვის არაერთ ეთერში შეუქმნიათ.

მიუხედავად ამ არაერთი შეთავაზებისა, წლების განმავლობაში პასუხად მხოლოდ უარი, ან დუმილი მიგვიღია. ვეხმიანებით რა მის დღევანდელ სურვილს, რომ ტაბულას ეთერში გააკეთოს რეპლიკები, მოხარულები ვართ, დავუთმოთ მას პირდაპირი ეთერი გადაცემა თეორემას ფარგლებში, რომელიც ეთერში ყოველ ორშაბათ და ხუთშაბათ ღამით, 22:15 საათზე, გადის“, — ნათქვამია „ტაბულას“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

„შეაკავეთ მოსკოვის აგრესია!“

თინათინ ხიდაშელი ეწვევა ალიანსის ქვეყნებს

საქართველოს **თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი თინათინ ხიდაშელი, რომელიც ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე პროდასავლურ პოლიტიკოსად ითვლება, გაემგზავრა ტურნეში დასავლეთის დედაქალაქებში, ცდილობს მიიღოს ნატოს მორიგი სამიტის მხარდაჭერა, რომელიც 8-9 ივლისს ვარშავაში გაიმართება.** ჩვენს მიერ გამოკითხული ექსპერტების აზრით, საქართველოს ხელისუფლებას არ უნდა ჰქონდეს იმედი მიიღონ ალიანსის შესასვლელი „საგზაო რუკები“. მიუხედავად ამისა, თბილისში იმედი აქვთ მიიღოს ძლიერი განცხადება მხარდაჭერის შესახებ ნატოს მხრიდან. ამას გარდა, ქალბატონი ხიდაშელი შეეცდება დაარწმუნოს საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრო, შეასრულოს ვალდებულება კონტრაქტის შესახებ საქართველოსთვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების მიწოდებაზე.

„იმედი მაქვს, თვის ბოლომდე ჩვენ შევძლებთ დავფაროთ ქვეყნების უმრავლესობა“, — განაცხადა ქალბატონმა ხიდაშელმა თბილისიდან გაფრენის წინ. თავდაცვის მინისტრის სიტყვებით, მისი ტურნეს და ნატოს მომავალ სამიტში მონაწილეობის მთავარი მიზეზი — ესაა „პირობების შექმნა საქართველოს მეტი დაცულობისათვის დედამიწაზე, ზღვაზე და ჰაერში“, აგრეთვე ფორმულა — „მეტი ნატო საქართველოში და მეტი საქართველო ნატოში“ — განხორციელებაში“.

პირველი ქვეყანა რომელსაც ეწვევა საქართველოს თავდაცვის მინისტრი, იქნება ნატოს მომავალი სამიტის მასპინძელი — პოლონეთი, სადაც თინათინ ხიდაშელი აპირებს მიიღოს მონაწილეობა ვლაცლავის გლობალურ ფორუმში საერთაშორისო უშიშროების პრობლემებთან დაკავშირებით. როგორც ჩვენს გაზეთს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აცნობეს, ქალბატონ ხიდაშელს განზრახული აქვს მოუწოდოს საერთაშორისო გაერთიანებას გააქტიურდნენ „საქართველოს და უკრაინის დეოკუპაციის“ პრობლემის გადაწყვეტისათვის“ და „მოსკოვის აგრესიული მისწრაფებების შეკავებისათვის“.

ამის შემდეგ თინათინ ხიდაშელს განზრახული აქვს გაემგზავროს ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც „დაგეგმილი აქვს შეხვედრები თანამშრომლობის ორმხრივი ფორმატის ფარგლებში“. ამის შესახებ ჩვენს გაზეთს აცნობა თავდაცვის სამინისტროს სპეციალურმა წარმომადგენელმა თამარ კაციტაძემ. მისი სიტყვებით, ნიუ იორკში თავდაცვის მინისტრი გამართავს შეხვედრებს საქართველოს სამხედრო მოსამსახურეების შესაძლო მონაწილეობაში ცენტრალური არაბეთის რესპუბლიკის ქალების გაუპატიურებაში სამშვიდობო ოპერაციის დროს. ოფიციალური თბილისი კატეგორიულად უარყოფს ყველა ბრალდებას ამასთან დაკავშირებით, მოითხოვს წარმოადგინონ „უფრო მტკიცე დადასტურებანი, ვიდრე ზედაპირული და ურთიერთსაპირისპირო განცხადებები დაზარალებულების მხრიდან“.

როდესაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდება, თინა ხიდაშელი გამართავს მოლაპარაკებებს თავის ფრანგ კოლეგასთან — თავდაცვის მინისტრთან ჟან-ივ ლე დრიანთან. მათი საუბარი შეეხება პარიზის პოზიციას ნატოს მომავალ სამიტთან დაკავშირებით, აგრეთვე კონტრაქტის შესრულებას საქართველოსთვის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვისა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის უახლესი ფრანგული სისტემების მიწოდების შესახებ. კონტრაქტს ხელი მოეწერა თითქმის ერთი თვის წინათ. მაგრამ რადარებისა და რაკეტების მიწოდება ჯერჯერობით არ დაწყებულა. ჩვენი გაზეთის თანამოსაუბრეები თბილისში არ გამორიცხავენ, რომ პარიზს შეუძლია უარი თქვას ამ კონტრაქტზე პოლიტიკური მოსაზრებებით, მაგალითად, მოსკოვის რეაქციის შიშის გამო. „ასეთი რამ ხშირად ხდება საერთაშორისო ურთიერთობებში“, — უთხრა ჩვენს გაზეთს სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალის „არსენალის“ მთავარმა რედაქტორმა ირაკლი ალადაშვილმა, რომელმაც შეგვახსენა, რომ მოსკოვმა ხელი მოაწერა კონტრაქტს ირანისთვის C-300 სისტემის მიწოდების შესახებ, მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში ჭიმავდა შეთანხმების შესრულებას.

საფრანგეთის ხელისუფლება, გერმანიის ხელისუფლებასთან ერთად, კვლავ ნეგატიურად ეპყრობა საქართველოს მცდელობას — მიიღოს „საგზაო რუკები“ ალიანსში შესვლისათვის. თუმცა თბილისში არ გამორიცხავენ იმის შესაძლებლობას, რომ პარიზი მხარს დაუჭერს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას — მიენიჭოს საქართველოს ალიანსის ასოციირებული პარტნიორის სტატუსი.

14-15 ივნისს საქართველოს თავდაცვის მინისტრს გეგმაში აქვს ორმხრივი მოლაპარაკება კოლეგებთან ნატოს ქვეყნებიდან. ბრიუსელში ის მიიღებს მონაწილეობას ალიანსის თავდაცვის მინისტრების სხდომაში.

ჩვენს გაზეთთან საუბარში ქართველმა სამხედრო ექსპერტმა ვახტანგ მაისაიამ ივარაუდა, რომ **ვარშავის სამიტის დროს „საქართველოსთვის „საგზაო რუკის“ მინიჭების საკითხი საერთოდ არ იქნება განხილული“. „საკითხი შეიძლება შეეხოს მხოლოდ რიტორიკის გაძლიერებას საქართველოს მხარდასაჭერად სამიტის შემაჯამებელი დეკლარაციის დამუშავების დროს“,** — დარწმუნებულია ბატონი მაისაია. **„ნატოს ამჟამად აქვს სხვა, გაცილებით უფრო აქტუალური საზრუნავი და პრობლემები“,** — შენიშნა ექსპერტმა, თუმცა არ გამორიცხა, რომ ვარშავის სამიტმა **„შეიძლება გადაწყვიტოს, გააძლიეროს თანამშრომლობა საქართველოსთან პრაქტიკული თვალსაზრისით: ერთობლივი სამხედრო სწავლების მოწყობა და შეიარაღების შეთავსების საკითხები“.**

Коммерсант

გერმანიასა და საფრანგეთში წყალდიდობის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 9 კაცი

ყველაზე მეტად დაზარალდა როტალ-ინის რაიონი ქვემო ბავარიაში. ხალხი სახლების სახურავებზე ეძებდა გამოსავალს, როგორც მინიმუმი 3 კაცი დაიხრჩო. კიდევ ერთი დამხრჩვალი ქალი აღმოაჩინეს იულბახის დასახლებული პუნქტის მახლობლად. ბადენ- ვიუტენბერგის ფედერალურ მიწაზე ღამით 30 მაისს 4 კაცი დაიღუპა. ხანდაზმული დედაკაცის ცხედარი აღმოაჩინეს საფრანგეთში.

ლიტვაში ბუთხუზების ტრადიციული რბოლა გასაღების მოყვარულმა ათი თვის ბავშვმა მოიგო

ლიტვაში ხუთშაბათს გაიმართა მფორთხავი პატარების ტრადიციული შეჯიბრება. ყველაზე სწრაფად, თერთმეტ წამში 5-მეტრიანი პლუშის ხალიჩა დაძლია კამილის დამბრაუსკასმა. ის მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ, მას იზიდავდა ხმაურიანი გასაღების ნაკრები თავისი დედის ხელში. მას ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ჰაუსტ დიჩიუნასი, რომელსაც ფინიშზე ელოდებოდა თეფში კატის საკვებით.

აშშ ევროპაში აგზავნის B-52 ბომბდამშენს ბალტიკაზე სწავლებაში მონაწილეობისათვის

ბომბდამშენები მაინოტის (ჩრდილოეთი დაკოდას შტატი) სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზიდან გაფრინდება და ჩავა ბრიტანეთის ფერფორდში. ბალტიკაზე ისინი იმოქმედებენ BALTORS 16 და Saber Strike-ის სწავლებაში, რომელსაც

დედამიწის ზურგზე

აწყობს ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ევროპული სარდლობა.

გერმანიის პარლამენტმა სომხების გენოციდი აღიარა

გერმანიის პარლამენტმა მოიწონა რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც, 1915-1916 წლებში სომხეთის მოსახლეობის მასობრივი მკვლელობა შეფასდა როგორც გენოციდი.

რეზოლუციის მიღებისას, პარლამენტის ქვედა პალატაში, მხოლოდ ერთმა დეპუტატმა მისცა ხმა წინააღმდეგ, ერთმაც თავი შეიკავა. თურქეთში მკვეთრი განცხადებები გაკეთდა რეზოლუციასთან დაკავშირებით. აღინიშნა, რომ რეზოლუციის მიღება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაზე ნეგატიურად აისახება. თურქეთის ოფიციალური პირები აცხადებენ, რომ იმ პერიოდში მსხვერპლის რაოდენობა 1,5 მილიონ ადამიანზე ბევრად ნაკლებია და მონაცემები გადაჭარბებულია.

თურქეთი ასევე უარყოფს ტერმინს „გენოციდი“. თურქეთის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, რომელიც რეზოლუციის მიღებამდე გაკეთდა, პარლამენტის გადაწყვეტილება იქნება ტესტი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობაში. პრემიერმა ასევე განაცხადა, რომ გერმანიაში 3.5 მილიონი თურქი ცხოვრობს, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ გერმანიის ეკონომიკაში.

სუმატრაზე 6,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

ინდონეზიის კუნძულ სუმატრაზე 6,5 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა. გეოლოგიური სამსახურის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი სანაპიროდან 40 კილომეტრში დაფიქსირდა. საინფორმაციო სააგენტო „როიტერის“ ინფორმაციით, მიწისძვრა იმდენად ძლიერი იყო, რომ ბიძგები სინგაპურშიც იგრძნობოდა, რომელიც ეპიცენტრიდან 531 კილომეტრითაა დაშორებული. მიწისძვრას ნგრევა და მსხვერპლი არ მოჰყოლია.

რუსეთში ჰაკერებმა 25 მილიონ დოლარზე მეტი მიითვისეს

რუსეთის სამართალდამცველებმა დააკავეს 50-მდე ჰაკერი, რომლებიც ეჭვიტანილი არიან რუსეთის სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტის ანგარიშებიდან 1,7 მილიარდი რუბლის (25 მილიონ დოლარზე მეტის) უკანონოდ მითვისებაში.

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ცნობით, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები დააკავეს მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული ოპერაციის შედეგად. აღძრულ იქნა სისხლის სამართლის საქმე.

შვეიცარიაში გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სარკინიგზო გვირაბი, რომელიც შუა ალპებში გადის

შვეიცარიაში ოფიციალურად გაიხსნა მსოფლიოში ყველაზე გრძელი, 57-კილომეტრიანი სარკინიგზო გვირაბი, რომელიც შუა ალპებში გადის. გოტჰარდის საბაზო გვირაბის მშენებლობა 17 წელი გაგრძელდა და 12 მილიარდამდე დოლარი დაჯდა. „რადიო თავისუფლების“ ცნობით, შვეიცარიის პრეზიდენტმა იოჰან შნაიდერ-ამანმ თქვა, რომ გვირაბი ერთმანეთთან დააკავშირებს ადამიანებსა და ეკონომიკებს: „ეს არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი შვეიცარიისათვის, ისევე როგორც ჩვენი მეზობლებისათვის და კონტინენტის დანარჩენი ქვეყნებისათვის. ადამიანები და ტვირთები უფრო სწრაფად შეძლებენ გადაადგილებას, ქალაქები, როგორიც არის ციურიხი, ლუგანო, მილანი, უკეთ დაუკავშირდებიან ერთმანეთს. გოტჰარდის საბაზო გვირაბით ჩვენ ერთმანეთთან დავაკავშირებთ ადამიანებსა და ეკონომიკებს. და საუკუნის ამ ნაგებობით ვაგრძელებთ წინაპართა ნოვატორული მიღწევების ტრადიციას. გოტჰარდის საბაზო გვირაბი, რომლის გახსნასაც ვზეიმობთ, ამ სახის უდიდესი ნაგებობაა მთელს მსოფლიოში“, — განაცხადა შვეიცარიის პრეზიდენტმა ახალი გვირაბის გახსნასთან დაკავშირებით. გოტჰარდის საბაზისო გვირაბით დღეში 260-მდე სატვირთო და 65 სამგზავრო მატარებელი ისარგებლებს. გვირაბი ემსახურება მგზავრების და ტვირთების გადაადგილების დაჩქარებას ალპებში — სამხრეთ და ჩრდილოეთ ევროპას შორის მდებარე მთათა სისტემაში.

სათამაშოდ ქცეული სიტყვა „დემოკრატია“

სიტყვა „დემოკრატია“ საბჭოთა კავშირის დროსაც გვესმოდა, მაგრამ მან შინაარსი მაშინ შეიძინა, როდესაც ძველ სისტემას დავშორდით და ახალში ამოვყავით თავი. როგორც გვიმტკიცებენ – ეს, სწორედ ის დემოკრატიაა, რისთვისაც ვიბრძოდით. გინდ დაიჯერეთ, გინდ არაო – უმალ იტყვიან თანამედროვე სკეპტიკოსები.

„ჭეშმარიტი“ დემოკრატები კი საწინააღმდეგოს ამბობენ, თან იქით მიაპყრობენ მზერას, საიდანაც წამოვიდა ეს დალოცვილი, თანამედროვე დემოკრატია. ამას წინათ ერთმა „დემოკრატმა“ პარლამენტარმა, ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, ზედმეტი ქებით მოიხსენია მსოფლიოს პირველი დემოკრატი სახელმწიფო აშშ.

სამწუხაროდ, ქართველი მედასავლეთენი სისტემატურად იყენებენ სიტყვა „დემოკრატიას“ დასავლური ყოფაცხოვრების დასახასიათებლად – „აი, ჭეშმარიტი დემოკრატია იქ არის და ჩვენც ისეთებად უნდა ვიქცეთო“. და ამას აკეთებენ სისტემატურად, მიუხედავად ანტიდემოკრატიული მაგალითებისა, რასაც ადგილი აქვს ყოველდღიურ დასავლურ ცხოვრებაში.

დემოკრატია, უდავოდ არ ჰქვია იმას, როდესაც ქვეყნის მოსახლეობის 74% კატეგორიული წინააღმდეგია საფრანგეთის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მიღებული შრომის კანონის, რომელიც კარდინალურად ეწინააღმდეგება ადამიანთა დემოკრატიულ დასაქმებას, ხელს აძლევს დამსაქმებელს, საკუთარი შეხედულებებიდან გამომდინარე, გაათავისუფლოს დასაქმებული სამსახურიდან, უხელფასოდ ამუშაოს სამუშაო საათების შემდეგ...

პრეზიდენტი ოლანდი, თანაც სოციალისტი, შეუპოვრად აცხადებს – სიტყვას არ გადავალ და კანონს ცხოვრებაში გავატარებო. არადა, საფრანგეთის ქალაქების ქუჩები კარგა ხანია დემონსტრაციებს უკავია. იმსხრევა მაღაზიების ვიტრინები, იმტრევა ავტომანქანები, ტყდება დემონსტრანტთა თავები, მაგრამ ხელისუფლება არ ტყდება, ჯიუტად აგრძელებს თავისას. საფრანგეთის პარლამენტი ხალხის გვერდით დადგა – ჩააგდო კანონპროექტი, მაგრამ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ შემოვლითი გზით, მაინც გაიტანა თავისი. ვინ გამოვა გამარჯვებული, არავინ იცის.

საფრანგეთში რომ ისეთი დემოკრატია იყოს, ჩვენ რომ გვგონია, მთავრობა კანონს ვერ მიიღებდა ან არ მიიღებდა. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი (74%) თუ თვლის, რომ კანონი ანტისახალხოა, ვისთვის და რისთვის იღებენ მას?

საფრანგეთში, ჩვენი გაგებით, ყველაზე დემოკრატიულ ქვეყანაში, სახალხო პროტესტის მიუხედავად, მიიღეს ერთნაირსქესიანთა ქორწინების კანონი. მაშინ პარიზის ქუჩებში მილიონზე მეტი ადამიანი გამოვიდა. ერთ წელზე მეტია, ძალაშია კანონი და საფრანგეთის ტელევიზიები, დროდადრო კმაყოფილებით აჩვენებენ მაყურებელს ერთნაირსქესიანთა საქორწინო ცერემონიებს.

არანაკლები „დემოკრატიულობით“ გამოირჩევა გერმანიაც, სადაც სირიიდან, ერაყიდან, აფრიკის ჩრდილოეთიდან, ავღანეთიდან შესულმა ლტოლვილებმა კარდინალურად შეცვალეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, უპირველესად, გერმანიის ცხოვრების რიტმი. გერმანიის კანცლერის ანგელა მერკელის მოჭარბებულმა ლიბერალიზმმა ფართოდ გაუღო ქვეყნის კარი მუსლიმ ლტოლვილებს, რამაც აღშფოთება გამოიწვია ხალხში. მუსლიმი ახალგაზრდა კაცების მიძალებამ გერმანელ ქალებზე, მათ მიმართ ისეთი ანტაგონიზმი გააჩინა, ვერავითარი „დემოკრატიით“ ვერ ჩაცხრება.

„თქვენც ერთ მეტრზე ახლოს ნუ მიხვალთ ლტოლვილ მამაკაცებთან“ – იყო რჩევა გერმანიის მთავრობიდან!..

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

„უნდა ავიტანოთ! ეს ჩვენი, დემოკრატიული ქვეყნის ვალიაო. აუგად არ უნდა მოვიხსენიოთ ლტოლვილები და მათი გამომწვევი ქცევაც სხვაგვარად, ანუ უარყოფითად არ უნდა შევაფასოთო“. ესეც ევროპული დემოკრატია – სახლში გივარდებოდნენ და ხმის ამოღებასაც გიშლიდნენ.

დემოკრატიას ვერ ხედავენ ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ბრიუსელის მიერ ევროპაში შესული ლტოლვილების განაწილებაში. „თუ ევროკავშირის მიერ



ნაბოძები სიკეთეები გსურთ, ლტოლვილებიც უნდა მიიღოთო“, - ამბობს ბრიუსელი. ამ „დემოკრატიულმა“ გადაწყვეტილებამ აღაშფოთა ევროკავშირის რიგი სახელმწიფოები. აღშფოთდნენ, მაგრამ მერე რა? „დემოკრატიულმა“ ბრიუსელმა თავისი გაიტანა, თუმცა დიდ ბრიტანეთთან ვერას გახდა. ბრიტანეთის პრემიერმა ქემერონმა კატეგორიულად არ მიიღო ბრიუსელის ბრძანება ლტოლვილების მიღებასთან დაკავშირებით და ევროკავშირიდან გასვლითაც დაიმუქრა.

„2000 წლის განმავლობაში იყო არაერთი მცდელობა, ერთი ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინათ ევროპის ქვეყნები. ამას ნაპოლეონი, ჰიტლერი, სხვა პირები ცდილობდნენ, მაგრამ ეს მცდელობა ყოველთვის ტრაგიკულად სრულდებოდა. ევროკავშირიც ანალოგიური მცდელობაა, ოღონდ სხვა მეთოდებით“...

ლტოლვილებთან ერთად სხვა თემებიც იჩენს თავს, რომლებიც რახანია, სუვერენიტეტს ულახავს ინგლისს, მაგრამ მარტო მას? იქნებ სხვა ქვეყნებსაც, რომლებსაც ანტიდემოკრატიულობის ცილისწამების შიშით ხმა ვერ ამოუღიათ? ვინც ხმა ამოიღო, მაგალითად უნგრეთის ლიდერი ორბანი, უმალ დიქტატორად მონათლეს და გამუდმებით ქოქოლას აყრიან, დემოკრატიის დამაქცევრად მოიხსენიებენ.

კრიტიკას ვერ ასცდა ბორის ჯონსონი, ლონდონის ყოფილი მერი, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, რომელიც დაბეჯითებით მოუწოდებს ხალხს 23 ივნისს ხმა მისცეს დიდი ბრიტანეთის ევროკავშირიდან გასვლას...

ერთ პარტიაში, როდესაც ლიდერი ქემერონი ევროკავშირში დარჩენის მომხრეა, ხოლო მეორე ლიდერი ჯონსონი – გამოსვლის – უდავოდ დემოკრატიაა. ევროკავშირის ხელმძღვანელის ტუსკის მიერ ჯონსონის გაკრიტიკება კი საეჭვო დემოკრატიაა. აი, რა თქვა ჯონსონმა: „2000 წლის განმავლობაში იყო არაერთი მცდელობა, ერთი ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინათ ევროპის ქვეყნები. ამას ნაპოლეონი, ჰიტლერი, სხვა პირები ცდილობდნენ, მაგრამ ეს მცდელობა ყოველთვის ტრაგიკულად სრულდებოდა. ევროკავშირიც ანალოგიური მცდელობაა, ოღონდ სხვა მეთოდებით“... მან მოუწოდა ხალხს, სუვერენიტეტის დაბრუნებისთვის უარი უთხრას ევროკავშირს.

ჯონსონს, ამ მოწოდების გამო არც ერთი ინგლისელი ერის მოღალატედ არ აცხადებს, „დემოკრატიულ“ საქართველოში კი ის, ვინც ნატოში შესვლის წინააღმდეგია, ქვეყნის მოღალატეა. ჯონსონის მოწოდებას მხარი დაუჭირა აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა ტრამპმა, რომელმაც თქვა, რომ ინგლისისთვის უკეთესი იქნება ევროკავშირიდან გასვლა.

მართალია, ტრამპი ოდიოზურ ფიგურად მიიჩნევა, ისეთად, ისტებლიშმენტის საწინააღმდეგო აზრებს რომ აფრქვევს და ამით ამომრჩეველთა უამრავ ხმებს აგროვებს, მაგრამ მას ხომ ამისთვის არავინ სჯის? მისი დასჯა – არჩევნებში დამარცხება იქნება, რისთვისაც ძალას არ იშურებენ საკუთარი პარტიის ბოსები, რომ აღარაფერი ვთქვათ დემოკრატებზე. და რაც უფრო მკვახედ აძაგებს ამერიკის პოლიტიკა ტრამპს, მით უფრო მეტ გულშემატკივარს იძენს ის. ერთ მხარეს არის პოლიტიკა, მეორეს – ტრამპი და ხალხი. და თუ ამ მეორემ ხელოვნური დამარცხება იგემა – ამერიკული „დემოკრატიის“ ზეიმი იქნება.

აშშ-ს ორმაგი პოლიტიკური სტანდარტების მძაფრი კრიტიკით გამოდის პრეზიდენტობის კანდიდატი ტრამპი, რომელიც აცხადებს რომ სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიის ნიღბით შესულმა აშშ-მა მოიტანა მსოფლიო ქაოსი, დაძაბულობა, ომი, ათასობით ადამიანის მსხვერპლი. ძალით გადემოკრატება არასასურველი გზაა და მასზე ამერიკამ უარი უნდა თქვას.

„ყველაფერი დაიწყო სახიფათო იდეით – შეგვეტანა დასავლური დემოკრატია იქ, სადაც არც ამის გამოცდილება ჰქონდათ და არც სურვილი. ჩვენ არარაობად ვაქციეთ მათი ინსტიტუტები, გავაღვივეთ სამოქალაქო ომები, რელიგიური ფანატიზმი, ამ საქმეს შევწირეთ ათასობით ამერიკელი“, – ამბობს ტრამპი.

ტრამპის იდეები უდავოდ იმსახურებს ყურადღებას, ამიტომაცაა რომ დღითი დღე იზრდება მისი მხარდამჭერთა რიცხვი. ტრამპი ახალი, განსხვავებული სახეა ამერიკის პოლიტიკაში და თუ მან შეძლო დანაპირებიდან თუნდაც მესამედის შესრულება, ამერიკა და მსოფლიო სხვანაირი იქნება. თუ რამდენად დემოკრატიული, ცხოვრება გვიჩვენებს...

დემოკრატიას ვერ უწოდებ თეთრი სახლის ქცევას, რომელიც ძალით ტენის საკუთარ ხალხს ერთნაირსქესიანთა ქორწინებისთვის პატივისცემას და არა მარტო საკუთარს, არამედ სხვა ქვეყნის ხალხებსაც, მათ შორის ჩვენსაც. მაგრამ ჩვენ მარტო „ცისფერობას“ გვტენიან? დემოკრატიის ნიღბით, ბევრ სხვასაც, მაგალითად ნატოზე და ევროკავშირზე ოცნებას – გამუდმებით, პაუზის გარეშე. შესვლაზე ოცნებას და არა შესვლას, ვინაიდან შესვლა, მისი მხრიდან საკუთარ თავზე ზედმეტი პასუხისმგებლობის აღებაა, რისკია.

...ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავარდება დემოკრატიის პირველი მქადაგებელი, მოკავშირე საქართველოს პოლიტიკური ვექტორის შეცვლით? სხვა მეზობლისკენ გადახრას თუ მეტ-ნაკლებად აიტანს, რუსეთის გავლენის ქვეშ მოქცევას ვერ შეეგუება, ვინაიდან ის არის ერთადერთი, ვინც ახერხებს მასთან სამხედრო ბალანსის შენარჩუნებას, რაც უდავოდ აღიზიანებს მას.

რუსეთის გამოჩენა ნებისმიერ საკითხში სამხედროდან დაწყებული, ხელოვნებით და კულტურით დამთავრებული, უსიამოვნო ჟრუანტელს ჰგვრის მას. არასასიამოვნო შეგრძნების თავიდან აცილების მიზნით, მზადაა, „დემოკრატიულად“ ყველა დარგში ფეხი დაუდოს მას. როდესაც ყურით მოთრეული საბაბით რუსი სპორტსმენების ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის საკითხს ეჭვქვეშ დააყენებ; როდესაც ევროვიზიის სიმღერის კონკურსში გამარჯვებულ რუს მომღერალ ლაზარევს, ნაცვლად პირველისა, მესამე ადგილზე განამწესებ – მიუხედავად ევროპის ქვეყნების მოსახლეობის სურვილისა (ევროპელებმა ხომ ხმები ლაზარევს მისცა), აშკარად სახეზეა მიკერძოება, დასავლური „დემოკრატია“, პოლიტიკის ხელის ფათური სპორტში, ხელოვნებაში, სხვაგან.

საქართველოში სიტყვა „დემოკრატია“, მით უმეტეს, მისი შინაარსი მხოლოდ ხელისუფლებაზე იყო და არის მორგებული. ყველაფერს, რასაც ხელისუფლება აკეთებს, „დემოკრატიული“ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. ხელისუფლების, ცხადია, წასულის თუ ჩამოგდებულის არადემოკრატიულობას ახალი „დემოკრატიული“ ხელისუფლება აცნობს ხალხს. ისიც მორჩილად უსმენს და ვერაფრით გაუგია, რატომაა წასული არადემოკრატიული, ხოლო მოსული დემოკრატიული.

რატომაა ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი დემოკრატიის მებაირაღე, როდესაც არ იზიარებს შენს ისტორიას, ყოფას, კულტურას, ტრადიციას და თავს გახვევს საკუთარს? ამ კითხვას ხშირად დასვამს ხალხი, მაგრამ ნამდვილ პასუხს ვერ ეღირსება. მან თვით უნდა ამოხსნას არცთუ იოლად ამოსახსნელი ამოცანა. რამდენად სწრაფად მოახერხებს ამას, მასზეა დამოკიდებული. ამოცანის ამოხსნა არა მარტო უბრალო ამოცანისთვის თავის გართმევაა, მას სხვა დატვირთვაც აქვს, სერიოზული, სიღრმისეული, რასაც ნამდვილი თავისუფლება, დამოუკიდებელი არსებობა, სუვერენიტეტი და დემოკრატია ჰქვია.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ბათუმის საერთაშორისო აეროდრომიდან ფრენები დამატებით რვა ახალი მიმართულებით შესრულდება

2 ივნისს ყაზახურმა ავიაკომპანია SkyBus Airlines ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიდან ასტანას მიმართულებით პირველი რეისი შეასრულა. პირდაპირი ფრენები ბათუმიდან ასტანას მიმართულებით ყოველ ხუთშაბათს შესრულდება.

2016 წლის ზაფხულის სეზონის განმავლობაში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრებს ყაზახური ავიაკომპანია „Skybus“ ჩარტერულ რეისებს ყაზახეთის 8 ქალაქის მიმართულებით შესთავაზებს. ყოველდღიური ფრენები ბათუმიდან ასტანას, აქტობეს, ყიზილორდის, შიმკენტის (20 ივნისიდან), აქტაუს, ატირაუს, ყარაღანდას და კოსტანაის (10 ივნისიდან) მიმართულებით Bombardier CRJ 100-ის ტიპის ხომალდით შესრულდება.

ყაზახური SkyBus 2008 წელს დაფუძნდა. ამჟამად ავიაკომპანია ჩარტერულ რეისებს დსთ-ს და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართულებით ასრულებს.

◎ აქტუალური თემა

სოკ-ის განცხადება დოპინგთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ

განსაკუთრებული ყურადღება კენიას, რუსეთსა და მექსიკას

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასრულებელმა საბჭომ პირველ ივნისს გამართულ სხდომაზე განიხილა და მიიღო განცხადების ტექსტი, რომელიც შეეხება სპორტში დოპინგის გამოყენებასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ხუთპუნქტიანი განცხადების შესავალში ნათქვამია, რომ „დოპინგთან ბრძოლა იყო და რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სოკ-ისთვის, რომელმაც გამოაცხადა ნულოვანი ტო-

ლერანტობის პოლიტიკა. დღეს ჩვენ ვდგამთ გადამწყვეტ ნაბიჯებს „სუფთა“ სპორტსმენების დასაცავად რიოს 2016 წლის ოლიმპიურ თამაშებზე. სოკ-ი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, არ დააყოვნებს დოპინგ-პროდუქტების ან მეთოდების გამოყენებაში და შეთავაზებაში მხილებული პირების, მათ შორის – მწვრთნელებისა და სპორტსმენის გარემოცვის სხვა წევრების დასჯას“.

სოკ-ის აღმასრულებელმა საბჭომ მხარი დაუჭირა წინასაოლიმპიადე ტესტირების პროგრამას, რომლის ბიუჯეტიც ორჯერ გაიზარდა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა კენიას, რუსეთსა და მექსიკას – იმ ქვეყნებს, სადაც ტესტირების მეთოდები არ შეესაბამება დადგენილ ნორმებს.

სოკ-ის განცხადებაში ნათქვამია, რომ ასევე ფართოდ ამოქმედდა განმეორებითი ტესტირების პროგრამა. უკვე შექმნილია და მუშაობს სადისციპლინო კომისია, სწრაფ გადაწყვეტილებებს ღებულობენ საერთაშორისო სპორტული ფედერაციები, 2016 წლის ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ეზღუდებათ დოპინგის გამოყენებაში მხილებულ სპორტსმენებს.

სოკ-ის აღმასრულებელმა საბჭომ მხარი დაუჭირა 2008 და 2012 წლების ოლიმპიური თამაშების მედალოსანთა განმეორებითი ტესტირების პროგრამის გაფართოებას (ამ პროგრამის პირველი ეტაპის ფარგლებში გამოვლინდა დოპინგის გამოყენების 54 შემთხვევა).

2016 წლის ოქტომბერში დაგეგმილია უმაღლესი დონის დიდი ოლიმპიური თავყრილობა, რომელიც შეაფასებს 2016 წლის ოლიმპიური თამაშების წინ განხორციელებული ანტისადოპინგო პროგრამების შედეგებს, ამასთანავე, დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით შექმნის ახალ მექანიზმებს დოპინგთან საბრძოლველად.

კობა კობახიძე

◎ ფორუმის წინ

„იუვენტუსი“ და „ლივერპული“: ევრო 2016-ზე - სარეკორდოდ

ევროპის მოახლოებულ ჩემპიონატზე ყველაზე მეტი წარმომადგენელი ტურინის „იუვენტუსსა“ და ინგლისურ „ლივერპულს“ ეყოლებათ – 12-12 ფეხბურთელი.

„ბებერი ქალბატონიდან“ ექვსი მოთამაშე იტალიის ნაკრებშია მიწვეული: ლეონარდო ბონუჩი, ჯორჯო კიელინი, ჯანლუიჯი ბუფონი, სტეფანო სტურარო, სიმონე ძაძა და ანდრეა ბარძალი. საფრანგეთის ნაკრებში იასპარეზებენ პოლ პოგბა და პატრის ევრა, ესპანეთისაში – ალვარო მორატა, ხორვატეთის ნაკრების ფორმას მოირგებს მარიო მანჯუკიჩი, სამი ხედირა გერმანიის ნაკრებშია მიწვეული, ხოლო სტეფან ლიხშტაინერი შვეიცარიის ნაკრებთან ერთად იბრძოლებს.

რაც შეეხება „ლივერპულს“ – „წითლებიდან“ ადამ ლალანა, ნათანიელ კლაინი, დანიელ სტარიჯი, ჯორდან ჰენდერსონი და ჯეიმს მილნერი ინგლისის ნაკრების ღირსებას დაიცავენ, ხოლო მათ გარდა, „ევროზე“ დენი უორდი, ჯო ალენი (ორივე უელსი), სიმონე მინიოლე, კრისტიან ბენტეკე, დივოკ ორიჯი (ყველა ბელგია), მარტინ შკრტელი (სლოვაკეთი) და ემრე ჩანი (გერმანია) წარსდგებიან.

„ლივერპულისა“ და „იუვეს“ შემდეგ ყველაზე მეტი წარმომადგენელი ლონდონის „ტოტენჰემს“ ჰყავს – 11, მეოთხე ადგილზე კი ამ მხრივ „მანჩესტერ იუნაიტედია“ 10 ფეხბურთელით.

გიორგი შოთაძე

◎ ადამიანი დროში

წინა პლანზე: ტიგრან პეტროსიანი (მარცხნივ) რამაზ ცერცვაძე

ნახევარი საუკუნე ჭადრაკის სამსახურში

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი რამაზ ცერცვაძე ოთხ ათეულ წელიწადზე მეტია, პედაგოგიურ და სამეცნიერო მოღვაწეობას ეწევა. ბრძენთა თამაშის საიდუმლოებას კი ბავშვობაში ეზიარა. ჯერ კიდევ ზესტაფონის საშუალო სკოლაში სწავლისას თანატოლთა შორის სამჯერ გახდა რაიონის ჩემპიონი, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩარიცხვის შემდეგ სახელოვან მწვრთნელ მიხეილ შიშოვთან იმაღლებდა ოსტატობას, მონაწილეობდა თბილისის პირველობებში, სხვა ტურნირებში. მერე სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად სამწვრთნელო საქმიანობამაც გაიტაცა.

– ჩემი პირველი მოსწავლეები საკუთარი ქალიშვილები იყვნენ, – ამბობს ბატონი რამაზი. – რომლებმაც წარმატებით ითამაშეს თბილისისა თუ საქართველოს პირველობებზე, ვახტანგ ქარსელაძისა და შოთა ინწკირველის მემორიალებში, ქობულეთში გამართულ საჭადრაკო ფესტივალებში. რაც წინ მიიწევდნენ, მით მეტი ყურადღება სჭირდებოდათ, მე კი დროის დეფიციტს განვიცდიდი, ამიტომ ისინი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ცნობილ მწვრთნელებთან – რეზო დადიანსა და ალეკო ბოკუჩავასთან მივიყვანე. თავად რატომ არ ამეცადინებო, მკითხა ალეკომ. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ფულს არ მიხდიან-მეთქი, ვუთხარი...

რამაზ ცერცვაძე მურთაზ ხურცილავასა და ალექსანდრე ჩივაძესთან ერთად

25 წლის წინათ რამაზ ცერცვაძემ პოლიტექნიკურში ჩამოაყალიბა საჭადრაკო კლუბი „გამსვლელი პაიკი“, სადაც დღემდე უანგაროდ ემსახურება სტუ-ს თანამშრომელთა შვილებისა და შვილიშვილების დაფრთიანებას. შეგირდებმა არაერთხელ ასახელეს ოსტატი, რომლის ნორჩი მოჭადრაკეებისთვის გამოცემული სახელმძღვანელოები – „ჭადრაკის ანი და ბანი“, „სადებიუტო მომზადების საიდუმლოებები“, „რა უნდა ვიცოდეთ ენდშპილის შესახებ“ და „პოზიციის შეფასება და ანალიზი“ უფროსებშიც პოპულარობით სარგებლობს.

ამჟამად რამაზ ცერცვაძე ქართველ მოჭადრაკეებთან ერთად ნაყოფიერად მუშაობს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ უცხოელ ბავშვებთან, რომელთა შორის გამოირჩევიან ჰამზა ბაში, საჰრანურ აქსოი (ორივე-თურქეთი), ელა სტრობანცი (ბელგია) და სხვები.

ჭაბუკობიდანვე ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის ქომაგი გახლავთ. ხშირად ესწრებოდა დედოფლის ტახტისთვის გამართულ მის მატჩებს. 70-იანი წლების მიწურულს მოსკოვში დიდ საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთი ტურის დამთავრების შემდეგ პრესცენტრში, სადაც ქალბატონ ნონას პარტიას აანალიზებდნენ, საჭადრაკო ჟურნალ „64-შახმატნოე ობოზრენიე“-ს ჟურნალისტმა ბატონ რამაზს ჰკითხა: რატომ არის, რომ ქართველი მოჭადრაკე ქალები ამდენი წელიწადია, მსოფლიოს ჩემპიონები არიან, ქართველმა ფეხბურთელებმა კი საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მხოლოდ ორჯერ მოიპოვესო. რესპონდენტის ხუმრობანარევმა პასუხმაც არ დააყოვნა – ჭადრაკის არბიტრს სასტვენი არა აქვს, ამდენად, მას არ შეუძლია, ქართველი მოჭადრაკე ქალების მიერ გაკეთებული კარგი სვლის შემთხვევაში დაუსტვინოს და ჯარიმა დანიშნოს, რასაც ძალიან ხშირად აკეთებენ რუსი მსაჯები თბილისის „დინამოს“ წინააღმდეგო.

სიტყვამ მოიტანა და, ბატონი რამაზი ფეხბურთის დიდი ქომაგიცაა.

- როგორც ყველა ქართველი, ბავშვობაში მეც ვიყავი გატაცებული ფეხბურთით. დღემდე აქტიური გულშემატკივარი ვარ. ვეტერანები ხშირად დავდივართ სტადიონზე. ვიმედოვნებთ, რომ გამოჩნდებიან ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც გასულ საუკუნეში იყვნენ: მესხი, მეტრეველი, ჩოხელი, იამანიძე, ხურცილავა, ყიფიანი, ჩივაძე, შენგელია, გუცაევი, გაბელია, სულაქველიძე, ჩელებაძე, ხიზანიშვილი... რომელი ერთი ჩამოვთვალო. ზოგიერთ მათგანთან მოგობრობაც მაკავშირებს. 1990 წელს იტალიაში ვიყავი ფეხბურთელთა მსოფლიოს XIV ჩემპიონატზე, ოდესიდან თბომავალ „ტარას შევჩენკოთი“ გავემგზავრეთ. მაშინდელი საბჭოეთის ყველა რესპუბლიკიდან იყვნენ წარმომადგენლები. ჩვენი დელეგაციის მშვენება გახლდათ დავით ყიფიანი. ავტოგრაფების მსურველთაგან მოსვენება არ ჰქონდა. ქალაქ ბარიში საბჭოთა კავშირისა და კამერუნის მატჩისას მე და ყიფიანი გვერდიგვერდ ვისხედით ტრიბუნაზე. დათომ ნაღვლიანად მითხრა: „რამაზ, პირველად ვარ მსოფლიოს ჩემპიონატზე და ისიც ტურისტადო“.

წლების სიმძიმის მიუხედავად, რამაზ ცერცვაძე დღემდე ორი დიდი გატაცების – მეცნიერებისა და ჭადრაკის ერთგულ მსახურად რჩება.

ლაშა დიდია

◎ ინტერნეტიდან

„მისის“ ტიტულიდან – სპორტულ კომენტატოროობამდე

და იდგა ჩვენი წელთაღრიცხვით 2004 წელი, როდესაც იტალიის საუკეთესო ლამაზმანად და თანამედროვე ენაზედ რომ ვთქვათ „მის იტალიად“, მშვენიერი, მაშინ სულ ახალგაზრდა, ულამაზესი და ხელიხელსაგოგმანები ცქვიტი ასული კრისტინა ჩიაბოტო აირჩიეს. ის დიდებული წუთები იყო!

მას შემდეგ 12 წელიწადი გავიდა და ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ კრისტინა ჩიაბოტო აპენინებზე კვლავაც პოპულარულია. ამჟამად ეს ქალი, არც მეტი არც ნაკლები, სპორტული პროგრამის წამყვანად მუშაობს და როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ეს საქმე საკმოდ კარგადაც გამოსდის.

კრისტინა ჩიაბოტო, როგორც ჩანს, მართლაც გონიერი ქალია და მოხერხებული ვინმეც უნდა იყოს. მან ტელევიზიაში ბევრ სფეროში გამოცადა საკუთარი თავი – ხან რეალითი შოუ მიჰყავდა, ხან კულინართა გადაცემა და ხან რა. საბოლოოდ კი თავისი თავი სწორედ სპორტული კომენტატორის ამპლუაში იპოვა.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ კალათბურთი

„ბუნტის“ სათავეში და...

ილიას ზუროსმა ეროვნული ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა

საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა გამოაქვეყნა. ბერძენმა სპეციალისტმა გამოცდილ მოთამაშეებთან ერთად შეკრებაზე ახალგაზრდა მოთამაშეებსაც უხმო.

რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ნაკრებში ის კალათბურთელები გამოიძახეს, რომლებიც ეროვნული გუნდის ღირსებას სხვადასხვა დროს იცავდნენ – ნიკოლოზ ცქიტიშვილი, გიორგი გამყრელიძე და ანატოლი ბოისა.

ზუროსმა გაფართოებულ შემადგენლობაში იხმო ახალგაზრდები – გიგი გოგობერიშვილი, ლუკა ზაქრაძე, ბექა ბექაური და კახა ჯინჭარაძე. ეს 2 უკანასკნელი ეგრეთ წოდებული სარეზერვო კანდიდატები იქნებიან. ბექაური და ჯინჭარაძე საქართველოს „ბ“ ნაკრებს ჩინეთში, საერთაშორისო ტურნირზე საასპარეზოდ გაჰყვებიან და თუკი ეროვნულ გუნდს ძირითადი შემადგენლობიდან ვინმე გამოაკლდება, მათ ადგილს სწორედ ისინი დაიკავებენ.

ეს გახლავთ სამუშაო, წინასწარი სია, რომელმაც სამწვრთნელო შტაბის შეკრების შემდეგ, შეესაძლოა, მცირე ცვლილება განიცადოს.

გთავაზობთ აღნიშნულ სიას: ზაზა ფაჩულია, გიორგი ცინცაძე, ანატოლი ბოისა, ვიქტორ სანიკიძე, გიორგი შერმადინი, მანუჩარ მარკოიშვილი, ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ნიკა მეტრეველი, ბექა ბურჯანაძე, დუდა სანაძე, გიორგი გამყრელიძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შარაბიძე, ბესიკ ლეჟავა, ლუკა ზაქრაძე, გიგი გოგობერიშვილი, კახა ჯინჭარაძე, ბექა ბექაური.

წესით და რიგით, ამ წერილს ევროპის მომავალი ჩემპიონატის მოახლეებულ შესარჩევ რაუნდში „ჯვაროსანთა“ შანსებზე საუბრით უნდა ვამთავრებდეთ, მაგრამ...

გუშინ გავრცელებული სკანდალური ინფორმაციის თანახმად, კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კახა შენგელია და აღმასკომის წევრი თემურ დათიკაშვილი თანამდებობებიდან გადადგნენ. მათ სკფ-ს თავკაცი მიხეილ გაბრიჩიძე მილიონ 300 ათასი ლარის არამიზნობრივად გადარიცხვაში დაადანაშაულეს და რიგგარეშე საარჩევნო ყრილობის მოწვევა მოითოვეს.

„ჩვენი ქვეყანა არც შვეიცარიაა, არც ნორვეგია და არც ამერიკა, ასე „უპრაგონოდ“ რომ ვფლანგოთ ქართველი ბავშვების დასაოსტატებლად გამოყოფილი სოლიდური თანხები და ისინი უცხოენლებს მოვახმაროთ“ – განაცხადეს „მეამბოხეებმა“.

მართლაც საინტერესოა, როგორ განვითარდება მოვლენები, ის კი ამთავითვე სათქმელია, რომ „ბუნტისათვის“ არცთუ სასურველი მომენტია შერჩეული.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ რაგბი

„ბორჯღალოსნები“ კუნძულებზე გაემგზავრნენ

საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველად 27-წლიანი არსებობის განმავლობაში წყნარი ოკეანის კუნძულებზე ტესტ-მატჩების სერიის გასამართად გაემგზავრა.

„ბორჯღალოსნებს“ კუნძულელებთან სამი მატჩი ელით – 11 ივნისს – სამოასთან, 18 ივნისს – ტონგასთან და 24 ივნისს – ფიჯისთან. მართალია თამაში სამია, მაგრამ დისლოკაციის ადგილი ორი იქნება – ქართველები ჯერ სამოას ეწვევიან, იქიდან კი ფიჯიზე გადაინაცვლებენ და ტონგას და ფიჯის იქ დაუპირისპირდებიან.

ტრადიციულად, ივნისში ვერც ერთი ევროპული გუნდი ვერ ახერხებს საუკეთესო კრებულის თავმოყრას და გამონაკლისი არც საქართველოა, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ წელს გუნდი წინა წლებთან შედარებით ივნისში საუკეთესო შემადგენლობით ითამაშებს. ეს ლოგიკურიცაა – ჩერჩილის, ბუქარესტის და თბილისის თასებისგან განსხვავებით, ეს ბევრად უფრო წონადი ტესტებია და რეპუტაციას, რომელიც ჩვენმა გუნდმა წლების განმავლობაში აგროვა, გაფრთხილება უნდა.

საფრანგეთის პირველ ელიტურ დივიზიონში გადამწყვეტი თამაშების სერია ჯერაც რომ არ დაწყებულა, მილტონ ჰეიგი ამიტომ ვიტო კოლელიშვილს, მიხეილ ნარიაშვილს, დუდუ ქუბრიაშვილს, მამუკა გორგოძეს, კოტე მიქაუტაძესა და ლევან ჩილაჩავას მოისაკლისებს. პრო დ2-ში საქმე არ მოუმთავრებიათ ანტონ ფეიქრიშვილს, მერაბ შარიქაძესა და ნიკოლოზ ხატიაშვილს, თუმცა, მათი ფინალი 4 ივნისსაა დანიშნული და გუნდს პირდაპირ კუნძულებზე შეუერთდებიან.

მსგავსი მარშრუტით კიდევ რამდენიმე მოთამაშე ისარგებლებს და გუნდი სრული შემადგენლობით სამოაზე ორშაბათიდან შეიკრიბება. თბილისიდან კუნძულებზე ქართული, ბრიტანული და რუსული, ასევე ფედერალ 1-ის კლუბებში მოთამაშე მორაგბეები და პრო დ2-იდან ლაშა ლომიძე გაემგზავრნენ.

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი სამივე მატჩის რეპორტაჟს გეგმავს. სამოასთან ჯახის პირდაპირი რეპორტაჟის საკითხი პრაქტიკულად მოგვარებულია, ფიჯელებთან კი, მოლაპარაკება მიმდინარეობს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ბიზნეს-გარემო

სამამულო მეწარმეობა: ახალი წრის დასაწყისი

ძვეყანაში **მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნაზე ლაპარაკი წლების მანძილზე გაისმის, გარკვეულ პერიოდებში ამ მიმართულებით რაღაც ნაბიჯებიც იდგმებოდა, მაგრამ, არსებითად, ყველაფერი ძველებურად რჩებოდა. ამის მიზეზი, როგორც ჩანს, გატარებულ ღონისძიებათა არასაკმარისი ეფექტიანობა იყო. ახლო მომავალში, კი, როგორც მთავრობაში აცხადებენ, ვითარება საგრძნობლად შეიცვლება, ვინაიდან 2016-2020 წლებში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის შესახებ კანონპროექტი უკვე შემუშავებულია და მას პარლამენტი უმოკლეს ხანში განიხილავს..**

კანონპროექტში, ასახული ახალი მიდგომა სამ სტრატეგიულ მიზნის შესრულებას გულისხმობს: **2020 წლისთვის ქვეყნის მცირე და საშუალო საწარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობის ყოველწლიურად 10 პროცენტით მატებას, ასევე ამავე ვადისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ოდენობის 15-პროცენტიან, ხოლო მწარმოებლობის ყოველწლიურად 7-პროცენტიან ზრდას.**

ამასთან, ხელისუფლების წარმომადგენელთა აზრით, საკითხისადმი ახალი მიდგომის სტრატეგია არა მარტო საკანონმდებლო, ინსტიტუციურ და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, არამედ კიდევ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერებას, საჯარო და კერძო სექტორების წარმომადგენლებს შორის დიალოგის გამართვას გულისხმობს.

ხაზს უსვამენ იმ გარემოებასაც, რომ მცირე და საშუალო მეწარმეთა გასაჭირი და წარმოქმნილი პრობლემები მთავრობისთვის, უწინარესად, ალბათ, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, ასევე ფინანსთა სამინისტროების შესაბამისი სტრუქტურების ხელმძღვანელობისთვის უნდა ხდებოდეს ცნობილი და სათანადო ზომებიც უმოკლეს დროში უნდა მიიღებოდეს.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყების უმთავრესი ხელისშემშლელი პირობა **იაფიან ფინანსებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა იყო და ეს ამჟამადაც ასეა.** ამიტომაც საგანგებოდ იმასაც აღნიშნავენ, რომ საჭიროა ამ ხარვეზის გამოსწორება და იმის კარგად გაცნობიერება, რომ **კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გარდა დაფინანსების სხვა წყაროებიც არსებობს. ლაპარაკობენ ასევე ქალთა მეწარმეობის წახალისების აუცილებლობაზე, დასაქმებისა და შრომითი კადრების გადამზადების პროგრამების განვითარებაზე, რომლებიც ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისი იქნება.** ამას ემატება საექსპორტო პროდუქციის გამოშვების ხელშეწყობა, ასევე მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზება, აუცილებელია ინოვაციური პროექტების ავტორთა, გამომგონებელთა წახალისებაც საკუთარ მიღწევათა კომერციალიზების მიზნით.

ასეთია, ზოგადად, ახალი კანონპროექტის სქემატური მოხაზულობა მაგრამ, იმის თქმა, თუ რამდენად დიდი ზეგავლენა ექნება მას ამჟამად არსებულ ვითარებაზე, როგორი იქნება მის ამოქმედებას მოყოლილი დადებითი ეკონომიკური, შრომითი, სოციალური თუ გენდერული ეფექტი, მისი ერთგვარი ბუნდოვანებისა და ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, ძნელი განსაჭვრეტია. ამასთან, ექსპერტების ერთი ნაწილი წლების განმავლობაში ხაზგასმით აცხადებს, რომ ბიზნესი „ზომებად“ ანუ მცირედ, საშუალო და დიდად დაყოფა მართებული არ არის. ამდენად მარტო მცირე და საშუალო წარმოებებისთვის, ანდა იგივე, ქალთა ბიზნესისთვის რაიმე განსაკუთრებული, „სასათბურე“ პირობების შექმნა არანაირად არ გამოვა, რადგან ამის პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელია თუნდაც იმ მოტივით, რომ თუ მეწარმეთა გარკვეულ კატეგორიებს საგრძნობი შეღავათები მიეცემა და მეტი ხელშეწყობა ექნებათ სახელმწიფოს მხრიდან, ის მაშინვე უარყოფითად აისახება კონკრეტულ გარემოზე და არაკეთილსინდისიერი მეწარმეებისთვის „გასაძრომ ხვრელებს“ დატოვებს. ამდენად, საქმისთვის უკეთესი იქნება, მეტი ყურადღება თავად ბიზნესის წამოწყებათა პროფესიული ცოდნის ამაღლებასა და ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას დაეთმობა, რაც, უწინარესად, მონეტარულ და საგადასახადო პოლიტიკაში, გარე ნეგატიური ფაქტორების მოქმედების შერბილებისთვის ბრძოლასა და მთელ რიგ სხვა ნაბიჯში გამოიხატება.

ამასთან, გასათვალისწინებელია რომ ბიზნესის „ზომებად“ დაყოფას მაინც ვერანაირად ვერ ავცდებით, რადგან განვითარებულ ქვეყანაში მცირე ბიზნესის წილად წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტის ორ მესამედამდე სწორედ მის წილად მოდის. ჩვენში სამეწარმეო საქმიანობის წამოწყების უდიდესი დამმუხრუჭებელი ფაქტორია იაფიან ფინანსურ რესურსებზე ნაკლებად წვდომა, რასაც ის გარემოებაც ამძაფრებს, რომ მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ფულადი დანაზოგი საერთოდ არ გააჩნია. ამდენად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობად სახელმწიფომ მეწარმეებზე შეღავათიანი კრედიტები უნდა გასცეს და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება გააკონტროლოს, ასევე ყურადღება მიაქციოს იმას, რომ კომერციულმა ბანკებმა სრულად შეასრულონ არაპროფილური აქტივების ფლობის აკრძალვა, რაც, სამწუხაროდ, დიდი ხარვეზებით სრულდება და ხელს უშლის მეწარმეობის განვითარებას.

ოთარ ტურაბელიძე

„ხავერდოვანმა ჩაიმ“ დაფინანსება მიიღო

იმერეთის რეგიონში პროგრამა „ქართული ჩაის“ ფარგლებში კოოპერატივმა „ხავერდოვანი ჩაი“ დაფინანსება მიიღო და 10,50 ჰა მიწის ფართობზე ჩაის პლანტაციების რეაბილიტირებას მოახდენს.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღნიშნავენ, კოოპერატივი „ხავერდოვანი ჩაი“ პირველია, რომელმაც პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მიიღო. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ლევან დავითაშვილი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი მარიანა მორგოშია და იმერეთის გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადირაძე ჭიათურაში დაფინანსებულ კოოპერატივს ესტუმრნენ და რეაბილიტაციის სამუშაოები დაათვალიერეს.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება – 25,725 ლარს შეადგენს, რომლიდანაც სამუშაოებს 80% 20,580 ლარს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო დაუფინანსებს. აღნიშნულ კოოპერატივს, მას შემდეგ რაც რეაბილიტირებული პლანტაცია სრულ მსხმოიარობაში შევა (24-36 თვე), სააგენტოსგან სრულიად უსასყიდლოდ გადაეცემა ჩაის პირველადი გადამუშავების ყველა საჭირო მანქანა-დანადგარი.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივით, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ პროგრამის პირველი ეტაპის განხორციელება თებერვლის თვიდან დაიწყო და მისი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება.

უკრაინაში ე.წ. კანონიერი ქურდი „გეგა ოზურგეტსკი“ დააკავეს

კიევში 24 წლის ე.წ. კანონიერი ქურდი, მეტსახელად „გეგა ოზურგეტსკი“ დააკავეს. უკრაინელი სამართალდამცველების ინფორმაციით, კრიმინალური ავტორიტეტის უკრაინაში ჩასვლის მიზანს დანაშაულებრივი დაჯგუფების სათავეში ჩადგომა წარმოადგენდა. სამართალდამცველი უწყება მის ქვეყნიდან დეპორტაციას გეგმავს. დაკავებული უკრაინის ტერიტორიაზე ყალბი საბუთებით ცხოვრობდა. პოლიციის ცნობით, დაკავებულს სასჯელი არასდროს მოუხდია. მისი ე.წ. კორონაცია კი 2013 წელს საბერძნეთში, 20 წლის ასაკში მოხდა.

10 მიზეზი, თუ რაზომ უნდა დალიოთ ვაშლის ძმარი ყოველ დილით

მსუბუქი ავადმყოფობის დროს, აფთიაქში წასვლა და წამლის ყიდვა მარტივი გამოსავალია, მაგრამ არ გიფიქრიათ, რომ ქიმიური მედიკამენტების ნაცვლად ბუნებრივი საშუალების გამოყენება უკეთესია? გახსოვდეთ, ბუნება საუკეთესო მკურნალია. იგი გვიგზავნის ყველა დაავადების წამალს, მთავარია, შევძლოთ მათი აღმოჩენა.

გაგაცნობთ ძალიან სასარგებლო „წამალს“, რომელიც უამრავ დაავადებას უმკლავდება. საუბარია ვაშლის ძმარზე. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ყოველ დილით, უზმოზე, ერთი სუფრის კოვში ვაშლის ძმრის დალევა 10 დაავადებას უმკლავდება.

ამცირებს სისხლში შაქრის დონეს

თუ გაქვთ დიაბეტი, მერწმუნეთ, გამოიყენეთ ვაშლის ძმარი და სულ მალე დაინახავთ შედეგს.

ანაყრებს კუჭს

კვლევებმა აჩვენა, რომ მთელი დღის განმავლობაში 200-300 კალორიით ნაკლებს მოითხოვს ორგანიზმი, თუ დილით ვაშლის ძმარს მიიღებთ.

ამცირებს გულის შეტევის რისკს

ვაშლის ძმარი ამცირებს ქოლესტერინის დონეს, რაც გულის დაავადებების რისკის შემცირებას განაპირობებს.

ამცირებს სიმსივნით დაავადების რისკს

დაკვირვება ჩინეთში ჩატარდა და კვლევების თანახმად, ვაშლის ძმრის მომხმარებელთა შორის მცირე ნაწილია სიმსივნით დაავადებული.

ანადგურებს მავნე ბაქტერიებს

ორგანიზმში სასარგებლო და მავნე ბაქტერიებია. მავნე ბაქტერიები ხელს უშლიან ორგანიზმის გამართულად მუშაობას. მათი განადგურებით კი, სხეული ჯანსაღდება და ყველა ორგანო გამართულად იწყებს მუშაობას.

კურნავს ყელის ტკივილს

დაფიქრდით, სანამ ქიმიურ მედიკამენტებს მიეძალებით. იქნებ უკეთესია ბუნებრივი საშუალება გამოიყენოთ?

აღადგენს დარღვეულ საჭმლის მონელების პროცესს

ორგანიზმს ეხმარება ნორმალურად მოინელოს საკვები.

აუმჯობესებს სასუნთქი გზების მუშაობას

თუ თქვენ ცხვირის შეგუბებით და სუნთქვის გახშირებული პრობლემებით იტანჯებით, აუცილებლად სცადეთ ვაშლის ძმრის გამოყენება.

ამცირებს ქერტლს

დიახ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვაშლის ძმარი მნიშვნელოვნად ამცირებს ქერტლს.

კურნავს აკნეს

თუ სახეზე გამონაყარით იტანჯებით, მიიღეთ ვაშლის ძმარი. ის გააჯანსაღებს კანს და როგორც ზემოთ ვთქვით, მოკლავს მავნე ბაქტერიებს. რის შედეგადაც, თქვენი აკნე უკვალოდ გაქრება.

მყინვარწვერზე რუსი ტურისტი დაიღუპა

მყინვარწვერზე რუსეთის მოქალაქე დაიღუპა. მთამსვლელების ინფორმაციით, ტურისტები წესების დარღვევით, შესაბამისი ეკიპირების გარეშე გადაადგილდებოდნენ და ერთ-ერთი მათგანი ყინულის ნაპრალში ჩავარდა.მთამსვლელებმა მისი გამოყვანა მყინვარიდან მოახერხეს, თუმცა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის გამო, ტურისტი ადგილზე გარდაიცვალა.

დეპრესიული სამუშაო

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ძიძები და მომვლელები დეპრესიებს სხვებზე მეტად უჩივიან.

მკვლევარებმა დეპრესიის წარმოშობაზე პროფესიული მოღვაწეობის ზეგავლენა შეისწავლეს. ამისათვის მეცნიერებმა გამოკითხვა ჩაატარეს, რომელშიც მონაწილეობა 18-დან 64 წლამდე ასაკის 60 ათასმა კაცმა მიიღო მონაწილეობა.

აღმოჩნდა, რომ დეპრესიის ხელშემწყობი პროფესიების ჩამონათვალში პირველ ადგილზეა ხანდაზმულ და სნეულ ადამიანთა მოვლა. ამავე კატეგორიაში მოყვნენ ბავშვთა ძიძები. ამ სფეროში მომუშავეთა 11 პროცენტი დეპრესიას ორი კვირისა და მეტი ხნის მანძილზე უჩივის.

მეორე ადგილზე მოხვდნენ საზოგადოებრივი კვების, მესამეზე კი სოციალური სფეროსა და ჯანდაცვის მუშაკები.

მკვლევარებმა ასევე გაარკვიეს, რომ დეპრესიისადმი სხვებზე ნაკლებად მიდრეკილი არიან არქიტექტორები, ინჟინრები და მეცნიერები.

წამლების ბრალია?

ანტიბიოტიკების მიღება შესაძლოა, მეორე ტიპის დიაბეტის განვითარების მიზეზი გახდეს, მიაჩნიათ დანიელ მეცნიერებს.

მათ აღმოაჩინეს, რომ მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ ადამიანთა უმრავლესობა, დიაგნოზის დადგენამდე, ანტიბიოტიკებს გაცილებით მეტი ოდენობით იღებდნენ, ვიდრე ისინი, ვისაც ეს დაავადება არა აქვთ შეყრილი.

მკვლევარებმა ერთმანეთს შეადარეს 170 ათასი დიაბეტით დაავადებულის, ასევე 1,3 მილიონი სხვა ზრდასრული თანამოქალაქისას რეცეპტები 1995-დან 2012 წლების პერიოდში. დიაბეტით დაავადებულებს ანტიბიოტიკები წელიწადში საშუალოდ 0,8-ჯერ ჰქონდათ დანიშნული, საკონტროლო ჯგუფს კი — 0,5-ჯერ. მათ, ვინც ხუთ და მეტ პრეპარატს იღებდა, დიაბეტის განვითარების რისკი 50 პროცენტით მეტი ჰქონდათ, ვიდრე მათ, ვინც მხოლოდ ერთ ანტიბიოტიკს იღებდა, ანდა ამ ტიპის არანაირ წამალს არ მოიხმარდა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოწულია
293-37-87
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.
ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.
ხელმოწერის ინდექსი
66434

დღის კადრი

მინი-ფიგი, ანუ ჯუჯა გოჭი, ძაღლივით ან კატასავით პოპულარული შინაური ცხოველი არ არის, თუმცა კი ადამიანის ამ ფავორიტებზე აშკარად არანაკლებ მომხიბლავია.

ფოტოზე აღბეჭდილი ერთი წლის გოჭი შნუფსი ავსტრიის დედაქალაქ ვენის პარკში სეირნობისას გადაიღეს.

ცინცხალი ანეკდოტები

მართალია, ფულს ბედნიერება არ მოაქვს, მაგრამ ნერვებს კი საოცრად ამშვიდებს.

* * *

ვირის თავობას ისევ ძაღლის კუდობა სჯობს.

* * *

კულტურისა და დასვენების დამსახურებული მოღვაწე.

* * *

მონას საკუთარი თავიდან მე წვეთ-წვეთად კი გამოვწურავდი, მაგრამ როგორ გამოვაძევო ჩემი უფროსიდან მონათმფლობელი?

* * *

ცხოვრება თეატრია, სცენარი კი ჩემთვის არავის მოუცია...

* * *

— **გეომეტრიაში** ისევ ერთიანი მიიღე, შე მამაძაღლო?! — ბრაზობს მამა შვილის დღიურის ნახვისას. — ახლავე დადექი კუთხეში!
— კუთხე რაღაა, მამი?

* * *

ამერიკელებიც და ევროპელებიც ცოტას ეწევიან, რადგან სიგარეტის ფული უჭირთ. სამაგიეროდ, ჩვენი თანამოქალაქეები ნაკლებ წამლებს ყიდულობენ, რაც ერის გაჯანსაღებაზე მეტყველებს.

* * *

განცხადება საზოგადოებრივ ტუალეტში: „ქაღალდი არ არის! მაგრამ თქვენ ყოჩაღად იყავით!“

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.147; ევრო - 2.392;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.138;
100 რუბლი - 3.256; თურქული ლირა - 0.728;
აზერბაიჯანული მანათი - 1.445;
1000 სომხური დრამი - 5.493

ამინდი 3 ივნისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +11, დღე +28
მთიანი რაიონები - ღამე +6, დღე +23
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +26
მთიანი რაიონები - ღამე +9, დღე +22
თბილისი: ღამე +17, დღე +27

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-37-87, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE